სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 ოქტომბერი 2006 №248 (2870) ფასი 50 თეთრი

РОСНАЦНАДЗОР ПРЕДУПРЕЖДАЕТ: ЧЕРНОНОГИЕ ОПАСНЫ ДЛЯ РУССКОГО ФУТБОЛА

ОТФУТБОЛИТЬ!

СТАРАЯ-НОВАЯ „РУССКАЯ" ЧЕРНАЯ ОПАСНОСТЬ ДЛЯ РОССИИ?

გუშინ გამართულ სახალხო პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ფეხბურთისთვისაც მოიცალა და კითხვაზე, რატომ ვერ აღწევს წარმატებას რუსეთის ნაკრები მიუხედავად იმისა, რომ მას სათავეში უდგას გუს ჰიდინკი, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩმა ფრიად საინტერესო პასუხი გასცა–

თურმე, რუსთა უმთავრესი გუნდის უვარგის თამაშს სამი მიზეზი

ჰქონია — უხარისხო მოედნები, ნაკლები ყურადღება ბავშვთა ფეხბურთისადმი და, რაც უმთავრესია, რუსულ პრემიერლიგაში

ლეგიონერთა სიჭარბე.

„ლეგიონერთა რაოდენობა უნდა შევამციროთ, რადგან მათი სიმრავლე ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობის ზრდას უშლის ხელს" — ბრძანა პუტინმა.

მეფის სიტყვა კანონია და, რუსეთის საფეხბურთო კავშირი უმალ გამოეხმაურა „ხაზეინის" სიტყვებს — პუტინმა შიგ კაკალ გულში მოარტყა, ჩვენც ასე ვფიქრობთ და ამ საქმეს მალე მივხედავთო.

მიხედავენ კიდეც. რომელი ჭკუა დაუშლით და, რუსული ფეხბურთის „გასუფთავებას" თუ დაიწყებენ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქართველებს მიადგებიან. მერე სხვა ჩერნო ჟო-ებს (არის ერთი, ცეესკას ბრაზილიელი მეგოლე) მოიშორებენ და დარჩებათ ერთი-ორი მართლაც ნიჭიერი და უამრავი ტრადიციული „ბეი-ბიგი".

თავიანთი საქმე თავად იციან, მაგრამ ერთიც გავიხსენოთ: საბჭოთა კავშირის ნაკრები წარმატებას თუ აღწევდა, იმ წარმატებაში ლომის წილი უკრაინელი და ქართველი ფეხბურთელებისა იყო და შარშანდელ გაზაფხულზე ცეესკამ პირველი და ერთადერთი რუსული ევროთასი რომ მოიპოვა, ის გამარჯვება თითქმის მთლიანად არმიელთა ბრაზილიელმა ლეგიონერებმა შექმნეს.

სამწუხაროდ, რუსის მახსოვრობა გამოფხიზლებამდეა და რა გამონაკლისი ფეხბურთი იქნებოდა.

УГЛОВОЙ, ПОДАЁТ ПУТИН

РФС как ФСБ: Будет сделано!

„რუსული ფეხბურთი ლეგიონერებისგან უნდა გავათავისუფლოთ. სწორედ ლეგიონერების ბრალია, ჩვენი ფეხბურთელების ზრდა რომ ფერხდება“ — განაცხადა გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და...

ცნობისთვის: რუსულ პრემიერლიგაში თოთხმეტი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, რაც მესამე მაჩვენებელია უკრაინის და ბელარუსის შემდეგ, თუმც იოლი გამოსაცნობია, რომ ამ შემთხვევაში უკრაინა, ბელარუსი და თუნდაც მალავი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ბოლოდროინდელი პოლიტიკური კონტექსტი ერთს გვკარნახობს: ცხადზე უცხადესია, ვის გულისხმობს და ვინ ამოუღია მიზანში პუტინს — ყველაფერში დამნაშავე, რა თქმა უნდა, „ეტი გრუზინი“ არიან.

მალხაზ ასათიანი, გიორგი ჭელიძე, მიხეილ აშვეთია, გიორგი ქინქლაძე, ლაშა სალუქვაძე, ნუკრი რევიშვილი, ზურაბ არზიანი, ბექა ჟღენტი, დავით მუჯირი, გიორგი ლომაია, გოგიტა გოგუა, ლევან გვაზავა, ალექსანდრე ამისულაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი — საინტერესოა, რას უპირებს ამ ფეხბურთელებს ქართველებზე აშკარად დაკომპლექსებული რუსთა პრეზიდენტი?

„დიახ, პრეზიდენტის აზრს სრულად ვეთანხმებით და ამ პრობლემას ეტაპობრივად მივხედავთ. უკვე დაწყებულია საქმიანობა და მომავალში ლეგიონერთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება“ — ასეთია რუსეთის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური კომენტარი, რომელიც გუშინვე გაავრცელეს რუსულმა საგენტოებმა.

რას უნდა ველოდოთ პუტინისგან და რუსეთისგან? უარეს შემთხვევაში, რუსულ პრემიერლიგაში ქართველები აღარ ითამაშებენ.

ესეც თქვენი სპორტი და პოლიტიკა — „რუსული დემოკრატია“ სპორტის საზღვრებში როგორ ჩაეტევა...

ძახა შალამბერიძე

უკრაინა	18
ბელარუსი	15
საქართველო	14
ბრაზილია	14
სერბეთი	10
სლოვაკეთი	9
ხორვატია	8
ლიტვა	8
რუმინეთი	8
მოლდოვა	7
ჩეხეთი	7
არგენტინა	7
პოლონეთი	6
პორტუგალია	5
ს. კორეა	5
უზბეკეთი	5
სლოვენია	5
ბოსნია	5
ბულგარეთი	4
ნიგერია	4
განა	4
ურუგვაი	3
ლატვია	3
ესტონეთი	3
მაროკო	2
ფინეთი	2
ნორვეგია	2
ჰოლანდია	2
ს. აფრიკა	2
ჩ. კორეა	2
პარაგვაი	2
ტუნისი	2
სენეგალი	1
მაკედონია	1
თურქეთი	1
ჩილე	1
კამერუნი	1
საფრანგეთი	1
სომხეთი	1
შვეიცარია	1
კონგო	1
შოტლანდია	1
მალი	1
ყაზახეთი	1
მალავი	1
იამაიკა	1
ჩრნიგორია	1
ავსტრია	1
ზიმბაბვე	1
აზერბაიჯანი	1

ლევან მელქაძე ბაკიდან წამოვიდა

ვურაგ დოლიძეს ფოტო

ნორვეგიული „ვოლერენგადან“ წამოსული ლევან მელქაძე ფორმის შესანარჩუნებლად რუსთავის „ოლიმპში“ ვარჯიშობდა და მერე აზერბაიჯანის ჩემპიონ „ბაკიში“ ეშურებოდა გადასვლას, სადაც ორი ჩვენებური თამაშობს — ალეკო გოგობერიშვილი და გიორგი მეგრელაძე.

26 წლის თავდამსხმელმა რამდენჯერმე ივარჯიშა „ბაკიში“, მაგრამ გუშინ იქიდანაც წამოვიდა.

მოკლედ, ამ ეტაპზე მელქაძის „ბაკიში“ ჩარიცხვა გამოირიცხა. ლევანი კვლავაც „ვოლერენგას“ ეკუთვნის, თუმც ნორვეგიელებთან კონტრაქტი მალევე უმთავრდება და მომავალი სატრანსფერო ფანჯრისთვის თავისუფალი აგენტი გახდება.

მელქაძეს ეროვნულ ნაკრებში ოთხჯერ უთამაშია, შარშან კი თბილისის „დინამოში“ ყოფნისას საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

დავით თავართქილაძე

29 ოქტომბერს 14 საათზე ეროვნულ სტადიონზე შედგება საქართველოს ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის წევრთა პირველი საყოველთაო ფორუმი. ფან-კლუბის წევრებს და განევრიანების მსურველებს, გთხოვთ, მობრძანდეთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ემპოლი და მჭედლიძეები

ოლიმპიკიდან სერია A-ში

ლევან მჭედლიძე განვლილ ევროშესარჩევ ციკლში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ტანმაღალ ფორვარდს გოლი არ გაუტანია, მაგრამ მუდმივად დაძაბულობაში ჰყავდა მცველები...

ლევან მჭედლიძე

ვურაგ დოლიძეს ფოტო

ლევანი და მისი უფროსი ძმა, გიორგი უკვე 5-6 თვეა, იტალიურ „ემპოლიში“ არიან. ძმები მჭედლიძეების შესახებ მათი მამა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის“ დირექტორი *კარლო მჭედლიძე* გვესაუბრა:

— ლევანი ჯერ 16 წლისაა და მიუხედავად იმისა, რომ „ემპოლის“ პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს, პროფესიული კონტრაქტი არ გაუფორმებივ. ჯერჯერობით წინასწარი ხელშეკრულებაა გაფორმებული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, ამხანაგურ მატჩებში ითამაშოს.

— პროფესიული კონტრაქტის გაფორმება 18 წლამდე არ ხერხდება?

— საერთოდ, ასეა, მაგრამ არსებობს გარკვეული შეღავათები, კერძოდ, თუ ფეხბურთელი დიდხანსაა იმ კლუბში და ამხანაგურ მატჩებშიც საკმარისად უთამაშია, ხელშეკრულების გაფორმება ვადაზე ადრე შეიძლება. იტალიაში არის ამგვარი კანონი, თანაც ლევანის საქმეზე ადვოკატები მუშაობენ და ფიფამაც უნდა მოგვცეს დასტური.

— დაახლოებით როდის უნდა ველოდოთ, რომ ლევანი „ემპოლის“ ფეხბურთელი გახდება?

— გაისად მაისში, ან უკეთეს შემთხვევაში, ნაახალწლევს. გეცოდინებათ, პროფესიული კონტრაქტის გაფორმების პრობლემა „ბარსელონასაც“ ჰქონდა ლეო მესისთან, მაგრამ ის 17 წლისა მაინც შეიყვანეს განაცხადში.

— როგორც ვიცით, „ოლიმპიკის“ სკოლას „ემპოლის“ ხელმძღვანელები სტუმრობდნენ და მჭიდრო ურთიერთობაც ჩამოყალიბდა თქვენს შორის. უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გვეტყვით?

— იმ პერიოდში, როცა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევი მატჩები ჰქონდა, „ემპოლის“ გენერალური მდივანი და მენეჯერი ჩამოვიდნენ. ისინი ერთი კვირა დარჩნენ თბილისში — სტუმრობდნენ „ოლიმპიკის“ სკოლას და მომავალშიც ჩამოვლენ. რა თქმა უნდა, ჩვენც ჩავალთ იტალიაში: „ოლიმპიკის“ 1989-90 წლებში დაბადებულთა გუნდი აპრილში წავა ტურნირზე. შესაძლოა, იტალიელებს სხვა ფეხბურთელებიც მოეწონოთ და სტაჟირებაზე წაიყვანონ, თუმცა „ოლიმპიკის“ აღსაზრდელების გარდა, შეიძლება, „ემპოლი“ სხვა ქართველ ჭაბუკებითაც დაინტერესდეს.

ალბათ საინტერესოა თავად გიორგისთან და ლევანთან საუბარიც. მათ გუშინ იტალიაში დავუკავშირდით:

გიორგი: ამჟამად ხან „ემპოლის“ მთავარ გუნდთან ვვარჯიშობ, ხანაც ფიზმომზადებას მწვრთნელთან გავდივარ საგანგებო პროგრამას. ტრავმების გამო საკმაო დრო გამიცდა და არ უნდა ჩამოვრჩე. 15-20-დღიანი პროგრამის შემდეგ „ემპოლი“ რომელიმე კლუბში გამანათხოვრებს, სავარაუდოდ, სერია C-ში, რადგან ჩემნაირად სხვა ფეხბურთელიც გადიოდა ამ პროგრამას და სწორედ იქ გაანათხოვრეს.

ლევანი: ამჟამად პირველ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და პარალელურად ფიზმომზადების მწვრთნელთანაც ვემზადები. როდის გავაფორმებ პროფესიულ კონტრაქტს, ჯერ არ ვიცი. ამბობენ, ეს მალე მოხერხდებაო.

— როგორც ვიცით, ამხანაგურ მატჩებს თამაშობ. გოლები თუ გაიტანე?..

— „ემპოლის“ პირველ გუნდში სამი-ოთხი ამხანაგური ვითამაშე და ერთი გოლი გავიტანე „ტრიესტინასთან“ 5:0 მოგებულ მატჩში. „ემპოლი“ ამხანაგურებს შუა კვირაში მართავს ხოლმე, თუ სერია A-ს ტური ან სათასო შეხვედრები არ არის.

— 16 წლისას „ემპოლის“ მთავარ გუნდში არ გიჭირს?

— მხოლოდ იმ მხრივ მიჭირს, რომ ამჟამად ფიზიკურად ჯერ ვარ კარგად. როგორც იცით, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებთან ერთად საბერძნეთის ტურნირზე ვითამაშე. იქ საშინელი პირობები გვქონდა — მინდორი ხელოვნური იყო, მაგრამ ასფალტს უფრო დავარქმევდი. ამის შემდეგ სამი კვირა ვიწექი, ისე ცუდად ვიყავი...

— 17-წლამდელთა ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ჯგუფიდან მაინც ვერ გავიდა. რა დაგაკლდათ, რით გაჯობათ გერმანიამ და რუსეთმა?

— მსჯავრებმა თავიანთი რიღი ითამაშეს, მაგრამ მარტო ამას ვერ დავაბრალებ წაგებებს, გერმანელებიც და რუსებიც ფიზიკურად გვჯობდნენ.

— საკმაოდ ტანმაღალი ხარ, მაგრამ ევროშესარჩევზე ისე გამოჩნდა, რომ თავით თამაში შენი ძლიერი მხარე არ არის...

— ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ საბერძნეთის ტურნირის შემდეგ ფიზიკურად სუსტად ვიყავი, თანაც მოვიწამლე. გერმანიასთან მერე ტაიმში ცუდად გავხდი, თამაში აღარ შემეძლო და ამიტომაც შემცვალეს.

— „ემპოლის“ კიდევ ჰყავს შენსავით ახალგაზრდა ფეხბურთელი?

— არა, 16 წლისა მხოლოდ მე ვარ. საერთოდ, აქ ყველა პირობაა წინსვლისთვის, ძალიან ბევრი ვისწავლე იგივე ალმირონისგან და ტავანოსგან, რომელიც გუნდის ვარსკვლავად ითვლებოდა და ახლა „ვალენსიაში“ ირიცხება. კიდევ ბევრს ვისწავლი, მთავარია, ყველა გვერდში მიდგას.

ილია ნანოგაშვილი

ჭელიძემ მისალოცს მისალოცი მიუმატა

24 ოქტომბერს მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელ გიორგი ჭელიძეს 20 წელი შეუსრულდა და საინტერესო დამთხვევაა — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „პაჭელო“ სწორედ ამ დღეს დაუბრუნდა მოედანს.

ჭელიძეს მაისის მერე არ უთამაშია. ტრავმებისგან გატანჯულმა გარკვეული დრო საფრანგეთშიც გაატარა და იქაურ ექიმებთან მკურნალობამ შედეგიც მოიტანა. გიორგი სამიოდ კვირის წინ დაბრუნდა მოსკოვში, „ლოკომოტივთან“ ერთად ვარჯიში განაახლა და გუშინწინ სარეზერვო გუნდშიც გამოჩნდა. პატარა რკინიგზელებმა თანაქალაქელ „ტორპედოსთან“ 0:0 ითამაშეს, ჭელიძე კი ძირითადში იყო და შესვენებაზე შეცვალეს.

როგორც შევიტყვეთ, ჭელიძე თავს კარგად გრძნობს, ტკივილს აღარ შეუწუხებია და შესაძლოა, სეზონის ბოლომდე მთავარ გუნდშიც გამოჩნდეს.

ძახა შალამბერიძე

რას ერჩის ლინენი ცქიტიშვილს?

ბადრი ჯალილაძის ფოტო

იტალიასთან ევროშესარჩევ მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული ლევან ცქიტიშვილი კლუბში, ბერძნულ „პანიონიოსში“ ისევ უთამაშებელია, შეცვლებზე თუ გამოჩნდება და ისიც ერთი-ორი წუთით. ჩვენიანი ამ სეზონში „პანიონიოსის“ ძირითად შემადგენლობაში სულ ერთხელ იყო. ორი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, სხვა შეხვედრებს კი სათადარიგოთა სკამიდან უცქერს. არადა, მან გერმანიასთან სანაკრებო ამხანაგური მატჩიც მაღალ დონეზე ჩაატარა, იქ თავგატეხილმა კი მსოფლიოს ჩემპიონებს პრობლემები არ დააკლო.

ლევან ცქიტიშვილს ათენში გუშინ დავუკავშირდით და თავდაპირველად გატეხილი თავის ამბავი ვკითხეთ...

— უკვე კარგად ვარ, ნაკერები ამხსნეს და თავით თამაშსაც აღარ ვერიდები. დიდი და ღრმა ჭრილობა იყო, ალბათ, გახსოვთ, ბალაკის ბუცი მომხვდა თავში.

— რამდენი ნაკერი დაგადეს?

— ათი დღე ექვსი ნაკერი მქონდა.

— თუმცა „პანიონიოსში“ უთამაშებლობის მიზეზი მხოლოდ ეს ტრავმა არ უნდა იყოს...

— ტრავმა რა შუაშია, იქამდეც კარგად ვიყავი, ახლაც არაფერს ვუჩივი, მაგრამ მწვრთნელი მაინც არ მათამაშებს. ამ სეზონში სულ ერთხელ ვიყავი ძირითადში. რა უნდა მწვრთნელს, არ ვიცი, შეცვლებზე თუ შემიყვანს და ისიც მაშინ, როცა თამაში თითქმის დამთავრებულია. ბოლო მატჩში „ლარისასთან“ ერთი წუთით შემიყვანა, ბურთის მიღებაც ვერ მოვასწარი, ისე დამთავრდა თამაში.

— რატომ არ გათამაშებს?

— ეს ევალდ ლინენს ჰკითხეთ. ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ, არაფერი მაწუხებს, ვარჯიშებზე კარგად გამოვიყურები, თუმცა მაინც არ მათამაშებს.

— მწვრთნელისთვის თავად არაერი გიკითხავს?

— კითხვას რა აზრი აქვს, როცა ისედაც ვიცი, რასაც მიპასუხებს, მომზადების დონე არ მაკმაყოფილებსო, მეტყვის და, რა უნდა ვუპასუხო? მე კი ვფიქრობ, რომ კარგ ფორმაში ვარ და ძირითადსაც ვიმსახურებ.

— არადა, როგორც ადრე გვითხარი, გერმანული „ვოლფსბურგიდან“ სწორედ ლინენმა წაგიყვანა. სათადარიგოდ სჭირდებოდი?

— ზუსტად ეგ მიკვირს... „ვოლფსბურგში“ როცა ვიყავი, ლინენი დამიკავშირდა, „პანიონიოსში“ მივდიავარ სამუშაოდ და მსურს, ჩემთან წამოხვიდეო. დიდხანს არ მიფიქრია, „ვოლფსბურგშიც“ უთამაშებელი ვიყავი, საბერძნეთში სათამაშო პრაქტიკა მაინც მექნება-მეთქი და ლინენის წინადადებასაც დავთანხმდი. ჩამოვედი „პანიონიოსში“, თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო — ამხანაგური მატჩები ვითამაშე, შემდეგ დავშავდი, ორი შეხვედრა ამის გამო გამოვტოვე, ვიმკურნალე, ფორმა აღვიდგინე, მაგრამ ძირითადში ადგილი მწვრთნელმა აღარ მომცა.

— რას აპირებ?

— ჯერჯერობით არაფერს, გუნდთან ერთად ჩვეულებრივ ვემზადები და ველი, ლინენი როდის მათამაშებს. თუ ასე გაგრძელდა, სხვა რა გზა მექნება, მწვრთნელთან საქმეს გავარკვევ და იმის მიხედვით მოვიფიქრებ, რა ვქნა. ეს კი ზამთრამდე უნდა გავაკეთო. თუ „პანიონიოსს“ არ ვჭირდები, სატრანსფერო პერიოდი დაიწყება და სხვა გუნდში წავალ.

— შენ არ გათამაშებენ, ამ დროს კი „პანიონიოსი“ უკვე გასავარდნთა ზონაშია...

— „ლარისასთან“ მოვიგეთ და სატურნირო მდგომარეობა შედარებით გავიუმჯობესეთ, მაგრამ მომავალში რა იქნება, ვერ ვიტყვი, ალბათ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოგვიწევს ბრძოლა.

— ეროვნულ გუნდზეც უნდა გკითხო, მით უმეტეს, იტალიასთან მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყავი. იმ შეხვედრის წინ მწვრთნელმა რაიმე განსაკუთრებული დავალება მოგცა?

— განსაკუთრებული არაფერი. როცა ასეთი დონის გუნდს ეთამაშები, თავად ხარ სხვანაირად მობილიზებული და განწყობილი. როგორ ვითამაშე, ეს თქვენ შეაფასეთ, თავად კი ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრები უკვე აშკარად კარგ და სწორ ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე აქამდე. მწვრთნელის ხელი პირველ ყოვლისა ნაკრებს ტაქტიკაში დაეტყო და ალბათ ყველა ამჩნევს, რომ თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ, კარგი შედეგი კი ნელ-ნელა მოვა. თანაც ახლა ამხანაგურ მატჩებს გერმანიასთან და ასეთ გუნდებთან ვთამაშობთ, ეს კი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის უდიდესი სკოლაა. ფეხბურთელებიც ვხედავთ, რომ ასეთი მცოდნე მწვრთნელი გვყავს და ესეც ჩვენთვის ერთგვარი სტიმულია. ვნახოთ, მალე კიდევ მოვუმატებთ და ეს შედეგზეც უნდა აისახოს.

კობა ინასარიძე

დუშან უჰრინს დინამოსთვის დიდების დაბრუნება სურს

ალექსი ფილიპოვიჩის ფოტო

ბრიტანულ „გარდიანში“ თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ დუშან უჰრინზე წერილი გამოქვეყნდა. წერილის ავტორი „როიტერის“ ჟურნალისტი გენადი ფიოდოროვია. წერილში რამდენიმე უზუსტობაა „დინამოს“ ახლო წარსულზე, თუმც ეს არსს არ ცვლის და თარგმანს ყოველგვარი შესწორება-შემოკლების გარეშე გთავაზობთ...

მაშინ, როცა 63 წელს მიტანებული ბევრი მამაკაცი პენსიაში გასვლაზე ოცნებობს, ან ერთი სული აქვს, ფეხები მაღლა შემოაწყოს და დაისვენოს, ჩეხეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი დუშან უჰრინი კვლავ ახალგაზრდასავითაა დამშეული წარმატებისთვის.

უჰრინისთვის, რომელსაც შვედეთში, კვიპროსზე, ისრაელში, ქუვეითში, ემირატებში და ჩეხეთში ნაკრებები თუ კლუბები გაუწვრთნია, ახლა თავისი საფეხბურთო ოდისეის ბოლო გაჩერებით ტკბება — „დინამო თბილისს“ მწვრთნელობს.

„ყოველთვის მიყვარდა თბილი ამინდი“ — თქვა ‘ქარიზმატულმა, გარუჯულმა ჩეხმა „როიტერთან“ ინტერვიუში „დინამოს“ ბაზაზე თბილისში.

სლოვაკეთში დაბადებული უჰრინი ამბობს, რომ არ შეუშინდა ათასობით მილის გავლას და პატარა კავკასიურ ქვეყანაში ჩასვლას, რომელიც კვლავაც ჩაბმულია გადაუჭრელ სეპარატისტულ კონფლიქტებში.

„საქართველოში „დინამო“ უდიდესი კლუბია და კარგად ცნობილია ევროპაშიც. მას შემდეგ, რაც საწვრთნელი ბაზა ვნახე და ვილაპარაკე დიდი კლუბის აღორძინების ამბიციურ პროგრამაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრი არც მიფიქრია. მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მიმუშავია, მქონდა რამდენიმე შემოთავაზება რუსული კლუბებიდან, მთავაზობდნენ ბაჰრეინის და ბელარუსის ნაკრებების გაწვრთნასაც, მაგრამ აქ ჩამოსვლა გადავწყვიტე“.

უდიდესი წარმატება

1925 წელს დაარსებული „დინამო თბილისი“ ერთ-ერთი უპოპულარესი კლუბი იყო საბჭოთა კავშირში — 1964 და 1978 წლებში ჩემპიონი გახდა, ხოლო 1976 და 1979 წლებში თასი მოიპოვა. „დინამოსთვის“ უდიდესი წარმატება იყო 1979 წელს ჩემპიონთა თასის პირველ ეტაპზე „ლივერპულის“ 4:2 დამარცხება და 1981 წელს თასების თასის მოპოვება, როცა ფინალში აღმოსავლეთ გერმანიის „კარლ ცაისს“ 2:1 მოუგო — ორადორი საბჭოთა კლუბიდან, რომლებმაც ევროპული თასი აწიეს, „დინამო თბილისი“ ერთ-ერთია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „დინამო“ საქართველოს ჩემპიონატში დომინირებდა, ზედიზედ ათჯერ გახდა ჩემპიონი 1990-2000 წლებში, მაგრამ მერე ეს გზა ვერ გააგრძელა.

2003 წელს კლუბის მმართველობა შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიბრუნა მას შემდეგ, რაც „დინამოს“ ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გადასახადების დამალვის გამო დააპატიმრეს — თანხა დაახლოებით 400 000 დოლარს შეადგენდა, რაც მოგვიანებით დაიფარა, მაგრამ „დინამოს“ ისევ ფინანსური პრობლემები ჰქონდა. სიტუაციის შეცვლა მაშინ დაიწყო, როცა კლუბი ქართველმა მილიარდერმა ბადრი პატარკაციშვილმა იყიდა სამი წლის წინ და „დინამომ“ კვლავ მოიგო საქართველოს ჩემპიონატი 2005 წელს.

უჰრინი ძალიან მონდომებულია, „დინამომ“ ძლევამოსილება დაიბრუნოს.

„როცა აქ მოვედი, გუნდი მეექვსე ადგილზე იყო. მაგრამ „დინამო“ ტიტულების მოგებასაა ნაჩვევი და საუკეთესო სამეულის გარდა სხვა ნებისმიერი შედეგი ხელმოცარვად ჩაითვლება“ — ამბობს უჰრინი.

„დინამო“ ახლა მესამე ადგილზეა, ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგო.

ევროპული მიღწევა

მის ხანგრძლივ კარიერაში ყველაზე დასამახსოვრებელი მიღწევა ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელობა იყო ევრო 96-ზე ინგლისში, რომლის ფინალში გერმანიასთან დამარცხდა დამატებით დროში გაშვებული „ოქროს გოლით“.

უჰრინის საქმიანობა ქუვეითში 2001 წლის თებერვალში დასრულდა — ის ქუვეითის ეროვნული ნაკრების მწვრთნელობიდან მას შემდეგ გადაყენეს, რაც ქუვეითი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაფლავდა.

კვიპროსულ „ნიქოზიაში“ ხანმოკლე საქმიანობის შემდეგ უჰრინმა ფეხბურთისგან დაისვენა და ბიზნესში გადაინაცვლა.

„ორი წელი ფრანტისკოვი ლაზნეში (ჩეხური ქალაქი გერმანიის საზღვართან) მინერალური წყლების საკურორტო კომპლექსს ვაშენებდი და მშენებლობის დასრულების შემდეგ ვიგრძენი, რომ მწვრთნელობას უნდა დავუბრუნდე, ეს მჭირდებოდა. პირველ რიგში საფეხბურთო მწვრთნელი ვარ და არა სანატორიუმის ხელმძღვანელი. რამდენი მეგობარი მყავს, ჩემს ბიზნესს რომ მიხედავენ. მწვრთნელობა კი ის არის, რასაც ვეკუთვნი და სადაც თავს ყველაზე უფრო კომფორტულად ვგრძნობ“.

საქართველოს ეროვნული ნაკრების გერმანელი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერისგან განსხვავებით, უჰრინი თბილისში ცხოვრობს და ახალ სამყოფელს კარგად ეგუება.

„ჩემი მეუღლე აქ ჩამოვა და ქრისტეშობამდე დარჩება“ — გვითხრა მან.

უჰრინი ყოველდღე ელაპარაკება მის ვაჟს დუშანს, ჩეხური „ბოლესლავის“ მწვრთნელს, რომელმაც სექტემბერში შოკისმომგვრელი ამბავი მოახდინა — უეფას თასიდან მარსელის „ოლიმპიკი“ გააგდო.

ეს ის შემთხვევაა, როცა ისტორია მეორდება — უფროსი დუშან უჰრინის „სპარტამ“ „ოლიმპიკი“ 1992 წელს დაამარცხა ჩემპიონთა ლიგაში.

ჩეხური წარმატება

უჰრინს ეღიმება, როცა ეკითხებიან, ეჯიბრება თუ არა ის ახლა თანამემამულე მწვრთნელ ვლასტიმილ პეტრჟელას, რომლის ხელმძღვანელობითაც სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა“ რუსეთის ჩემპიონატში 2003 წელს მეორე ადგილი დაიკავა.

„ო, პეტრჟელა! ის ჩემ გაწვრთნილ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მცველი იყო. მან კარგი სამუშაო გაწია „ზენიტში“, მაგრამ მისი ეს წარმატება ვერანაირი წნეხის ქვეშ ვერ მომაქცევს. ჩვენ ახლა ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომლის რვა ფეხბურთელი 21-წლამდელთა ნაკრებშია. ტექნიკაში ისინი ძალიან კარგები არიან, ტაქტიკურად და ფიზიკურადაც ძალიან არ ჩამორჩებიან ევროპული კლუბების დონეს. მაგრამ მათი თამაშის მენტალურ მხარეს გაუმჯობესება სჭირდება. ისინი უფრო მეტად უნდა გახდნენ პროფესიონალები და ასეთი ცვლილება რომ მოხდეს, საამისოდ გარკვეული დრო მჭირდება“ — ამბობს უჰრინი.

ეს რაღაც ისეთია, რაც უჰრინს თავის ხანგრძლივ კარიერაში უკეთებია და არ არსებობს მიზეზი მის შესაძლებლობებში დასაეჭვებლად — ახლა უჰრინი იმას ცდილობს, „დინამო“ კვლავ წარმოაჩინოს აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად.

გენადი ფიოდოროვი

სურკისის შავ სიაში ორი ქართველია

კიევის დინამო მარცვალაძეს და იმედაშვილს უშვებს?

უკრაინული პრესის აზრით, უცხოელი ფეხბურთელების გარეშე ევროსარბიელზე რაიმე შედეგის მიღწევა შეუძლებელია. მათ კარგად ახსოვთ ვალერი ლობანოვსკის კიევის „დინამო", როდესაც ლეგენდარულმა მწვრთნელმა უმტკივნეულოდ შეავსო გუნდი ქართველი კალაძით, რუსი გერასიმენკოთი და ბელარუსი ხაცკევიჩ-ბელკევიჩის დუეტით და ევროპაში სახელი გაითქვა.

სადღეისოდ სიტუაცია შეიცვალა. მიმდინარე სეზონში „დინამოს" შემადგენლობაში 23-მა (!) ლეგიონერმა ითამაშა, ხოლო ოთხი „დინამო 2"-ის შემადგენლობაში ელის თავის შანსს. კიევში მოთამაშე ლეგიონერებმა ხელმძღვანელობისგან მაღალი ხელფასები, ბინები ქალაქის ცენტრში და ძვირადღირებული მანქანები მიიღეს, შედეგი კი არ ჩანს, რამაც კლუბის პრეზიდენტი იგორ სურკისი აღაშფოთა. სურკისმა უკვე დაასახელა რამდენიმე ფეხბურთელი, რომელთაც კლუბის დატოვება მოუწევთ, ხოლო რამდენიმე გვარზე გარკვეული მინიშნება გააკეთა. სავარაუდოდ, კიეველთა შემადგენლობას ფლორიან ჩერნატი, მარის ვერპაკოვსკისი, გორან საბლიჩი და ვალენტინ ბელკევიჩი დატოვებენ. პრესის აზრით, პრეზიდენტის „შავ სიაში" არიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც იმედები ვერ გაამართლეს და, სამწუხაროდ, ამ სიაშია ორი ქართველი ფეხბურთელი — ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სირაძე ტოპისაც გოლით დაენახვა

შუა კვირაში ევროპას საკმაოდ მატჩები მოუგროვდა და ქართველებიც საქმეში იყვნენ — ჩვენიანების მწირ მონაგარზე მოკლედ ვთქვათ...

გერმანიაში „შალკე", „ფრაიბურგი" და აუე დასცილდნენ სათასო მარათონს. ლევან კობიაშვილმა 120 წუთი ითამაშა სტუმრად „კიოლნთან", „ხუმარები" 69-ე წუთზე ათი კაცით დარჩნენ, ამ დროს 1:2 აგებდნენ და დამატებით დრომდე კი მიიყვანეს საქმე, მაგრამ იქ ორი გოლი გაუშვეს.

დამატებითში წააგო „ალემანიასთან" აუე-მაც (2:4). **დავით სირაძემ** კი კლაუს ტოპმიოლერის თვალწინაც გაიტანა ერთი გოლი.

„ფრაი" სტუმრად „ვოლფსბურგთან" დამარცხდა — 0:1. პირველად ამ სეზონში, ოთარ ხიზანეიშვილმა თავისი კლუბის ოფიციალურ შეხვედრაში ძირითადი დაჯაშნიკა და მე-80 წუთზე შეცვალეს, ალექსანდრე იაშვილმა კი სრულად ითამაშა.

სათასო ამბები იყო უკრაინაშიც: კიევის „დინამომ" ქართველების დაუხმარებლად 2:0 სძლია „ხარკოვს", დონეცკის „მეტალურგი" კი სტუმრად „ბორისფენთან" 1:4 შერცხვა. **გიორგი დემეტრაძემ** 90 წუთი ითამაშა.

კახა ალადაშვილის „დნიპრომ" პირველლიგელ „ტიტანს" 2:0 აჯობა. ჩვენიანმა 79 წუთი იბურთავა, თუმცა საგოლე კომბინაციებში არ გარეულა.

რუსეთში სამთვიანი პაუზის შემდეგ მოგება დააგემოვნა ნალჩიკის „სპარტაკმა", რომელიც წყალწაღებულ „შინიკს" 2:1 მოერია. იაროსლავლელთაგან **ზურაბ მენთეშაშვილმა** და **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეცვლელად იბურთავეს. ყაბარდოელთაგან კი **გოგიტა გოგუა** 56-ე, **ლევან გვაზავა** კი 71-ე წუთზე შევიდნენ შეცვლაზე — ამ დროს ანგარიში 0:0 იყო და მართალია, ქართველებს გოლი არ გამოუძერწავთ, მაგრამ, როგორც რუსული პრესა აღნიშნავს, ძალიან გააქტიურეს ნალჩიკელთა შეტევები. ეს განსაკუთრებით გოგუას ეხება.

გოგიტას შესახებ ერთიც ვთქვათ: „ნალჩიკელები თვეზე მეტია, „ქართველი გატუზოს" ტრანსფერის გამოსყიდვაზე მუშაობენ, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ არ მიდის" — წერს რუსული „სპორტ-ექსპრესი".

გიორგი ლომაიამ კვლავ ძირითადში ითამაშა და „ლუჩ ენერგიამ" 2:1 სძლია „ტომს" — ქართველ მეკარეს პენალტი გაუტანეს. ყაზანის „რუბინს" კი „მოსკვას" მერე „ზენიტიც" შემოენადგურა (3:0) და ქართველთაგან ისევ **ლაშა სალუქვაძემ** ითამაშა თავისი წილი 90 წუთი.

ილია ნანოგაშვილი

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

სულიკო დავითაშვილმა (მარჯვნივ) „კახეთს" მეშვიდე ამერული გოლი გაუტანა

ბაფარი ალიმოლაძის ფოტო

როგორც ოჯახში, კაი სუფრაზე: ცალკე სკამი შენია

დიმამ კახელებს დაუტატანა, აბრეზამ თავისი გაუტანა

თელავი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. მ. ჩიხელი. 300 (ტევადობა 5 000)

კახეთი 1:1 ამერი

ეი ბიძინაშვილი (50პ), ეს ს. დავითაშვილი (90)

კახეთი: ცინაძე, ტარუღაშვილი, ლომიძე, მაღლაკელიძე, კვირკველია, კობაიძე, კვლეშვილი, ტეტიაშვილი (ბ. ბურნაძე 82), ნ. დავითაშვილი, ბიძინაშვილი, წუწუნავა *სათადარიგონი:* ქუფარაშვილი, ხიდეშელი, ამირანიძე, გერგიშვილი, ცისკარიშვილი, იმერლიშვილი **მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი	**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, დ. მჭედლიშვილი (დოლიძე 46), ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დიდავა, გაბისკირია (ტატანაშვილი 57), გ. ჯელაძე, ს. დავითაშვილი, სევასტოპულო (რ. წინამძღვრიშვილი 46) *სათადარიგონი:* ქვაჩახია, სილაგავა, კედელაშვილი, ნიკოლაიშვილი **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ელბაქიძე (66)

მსაჯები: ვ. გუმბერიძე; ი. უკლება, კ. ბერაძე; ი. ურუშაძე

კოტე კეკელია თელავიდან

თელავში ჩასული კახი ასათიანის ქუჩას რომ აუყვები და მთაზე ტყეში ჩაკარგული კოხტა ეკლესის ეზოდან „გივი ჩიხელს" გადახედავ, იგრძნობ, რომ აქაურობას პატრონი ჰყავს: ტრიბუნებზე ინდივიდუალური სკამების მონტაჟი დაუწყიათ.

ოღონდ ეგაც არის, რომ თელაველები მაინცდამაინც არ სწყალობენ თავის გუნდს, რაკიღა სამასი კაციც არ მოსულა სათასო თამაშის სანახავად.

ხოლო ვინც მოვიდა, ორი განსხვავებული ტაიმი ნახა. პირველი: უინტერესო; მეორე: ბლომად საგოლე ეპიზოდი ორი გოლი.

მე-6 წუთზე ფლანგურ ჩაწოდებას ამერელთა მეკარე ნადირაშვილი ვერ შესწვდა და წუწუნავას დაუცველ კარში თავურით შეეძლო გატანა. მაგრამ ბურთი მასაც გადააფრინდა და მომენტი დაიკარგა. და რომელი წუთით თარიღდება კარში პირველი დარტყმა? 43-ით, როცა იური გაბისკირიას ოცდაათიოდე მეტრიდან გასროლილი ცინაძემ აიღო. პირველ ტაიმში ეს ერთადერთი კარში დარტყმა იყო.

მეორე ტაიმში კი თამაში ორმა გარემოებამ გამოაცოცხლა: თელაველთა გოლმა და გიორგი ჩიხრაძის შეცვლებმა. გოლმა „ამერს" გამოფხიზლება აიძულა, შეცვლაზე შესულებმა კი — პირველ რიგში დიმიტრი ტატანაშვილმა — თბილისელთა იერიშები განსაკუთრებით სახიფათო გახადა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში გაიტანეს. გივი დიდავა ზაქარია ბიძინაშვილზე ვარდნაში წავიდა, წააქცია, ხოლო პენალტი თავად ბიძინაშვილმა გამოიყენა. ბარემ ესეც ვთქვათ: ეს თელაველთა ერთადერთი დარტყმა იყო, კარის ჩარჩოში რომ წავიდა.

ეს იყო და, თასის მფლობელმა ტემპს უმატა. დავითაშვილ-დობროვოლსკის კომბინაცია რატი წინამძღვრიშვილმა დაასრულა მეკარის ბაქნიდან დარტყმით, ოღონდ მეკარეს ვერ აჯობა. წუთის მერე გივი დიდავამ გაარტყა ძელს. ცოტა ხანში ძელთან მდგომმა რატიმ ვერ შეძლო გატანა, ტატანაშვილის თავური კი ცინაძემ მოხდენილი ნახტომით მოიგერია.

ტატანაშვილის კიდევ ერთი დარტყმა — ამჯერად შორ დაბალ კუთხეში და ისევ ცინაძის ნახტომი. ერთი სიტყვით, თელაველთა მეკარემ რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და ბოლო წუთზე გამვებული რომ არა, ნაღდად მატჩის გმირი შეიქნებოდა.

და ისე რომ არ გამოვიდეს, თითქოს კახელები მთელი მეორე ტაიმი უქმად იყვნენ, მათი ნაღდი მომენტიც აღვნიშნოთ: ბიძინაშვილის დაგორებულზე ლუკა ტეტიაშვილმა როგორ ვერ დაარტყა, ალბათ, გამოცანად დარჩება, არადა, გოლი გარდაუვალი ჩანდა.

ამასობაში კი დრო იწურებოდა და „ამერი" სეზონში პირველი მარცხის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ამასთანავე, „ამერს" „კახეთთან" აქამდე არ წაეგო.

მხსნელი გოლი „ყვიოელთა" საუკეთესო ბომბარდირმა სულიკო დავითაშვილმა გაიტანა ბოლო წუთზე. დოლიძის ჩაწოდებულზე ტატანაშვილმა დაარტყა, ცინაძემ კვლავ მოიგერია, მაგრამ დავითაშვილის დამატებულს ვეღარაფერი მოუხერხა. სხვათა შორის, გუშინ „ამერის" ვებ-გვერდზე ამოიკითხავდით, რომ ბოლო ორ წელიწადში, რაც „ამერში" თამაშობს, „აბრეზას" „კახეთისთვის" ექვსი გოლი ჰქონია გატანილი — ესეც მეშვიდე.

ერთიც დავამატოთ: „კახეთს" ამ მატჩში ბურდული და არუდაშვილი აკლდნენ, „ამერს" კი ქვაჩახია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დეკანოსიძე და ბოლქვაძე არ ჰყავდა.

კოტე კეკელია

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

ჩხირი კედელს საჩხერეში

საჩხერე. 25 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 700 მაყურებელი

ჩიხურა 2:0 დინამო

1:0 მარგალიტაძე (4), 2:0 ხატიაშვილი (60ს.კ.)

ჩიხურა	დინამო
მამალაძე, თავბერიძე (მემარნიშვილი 46), ხ. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი (ბრეგვაძე 66), გვეტაძე, ბუცხრიკიძე, მესხი, გ. მანწკავა, მარგალიტაძე, ჩომახიძე (სტეფანიშვილი 60), კაკალაძე	ლორია, ხატიაშვილი, თომაშვილი, გაბუნია, გუგავა (ხარაძე 46), გილაური, ოდიკაძე, თარგამაძე (კბილეიცხლაშვილი 46), ჯოხაძე, მესხი (ანგულო 64), გოწიაროვი
სათადარიგონი: დოღაძე, ლ. ვაშაკიძე, ჩხაიძე	სათადარიგონი: ლოსაბერიძე, კერესელიძე
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი	მწვრთნელი: კახა კაჭარავა

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ნ. რუსიშვილი; ხ. გაგნიძე

დამკვირვებელი: ო. კორღალიძე

ოთარ აბესაძე საჩხერიდან

ამ გუნდების შარშანდელი სათასო დაპირისპირება „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა. სხვათა შორის, „ჩიხურას“ მაშინდელი შემადგენლობიდან ოთხი ფეხბურთელი შემორჩა, იმ თამაშს კი საჩხერეში 5000 კაცი დაესწრო.

თასის ახალმა ფორმატმა „ჩიხურა“ და „დინამო“ წლეულსაც შეახვედრა ერთმანეთს.

ზემოიმერლებმა თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და უკვე მე-4 წუთზე იხეირეს. მიხეილ კაკალაძის დარტყმული ძალიან ცუდად მოიგერია გიორგი ლორიამ და ედიშერ მარგალიტაძესაც გატანა არ გასჭირვებია — 1:0.

საჩხერლებმა დაწოლა გააგრძელეს. კაკალაძეს ორჯერ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ლორია ყოჩაღობდა. თბილისელებს პირველ ნახევარში აზრადაც არ მოსვლიათ მეტოქის კარისკენ შეტევა.

მეორე ნახევარში დინამოელები ცოტა გამოეხიზლდნენ და მეტოქეც ააფორიაქეს. თბილისელმა მიხეილ მესხმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა, შემდეგ დავით ოდიკაძის კუთხურს მოჰყვა არეულობა „ჩიხურას“ საჯარიმოში, თუმცა ამით სტუმრებმა ვერ ისარგებლეს.

მე-60 წუთზე მასპინძლებმა მეორედ გაიხარეს. ბუცხრიკიძემ იაქტიურა და საჯარიმოში ჩაწოდება მოახერხა. თითქოს კართან ხიფათი არსაიდან ჩანდა, მაგრამ ხატიაშვილს ბურთის აეჭრა და ავტოგოლი გამოაცხო.

მერე შეცვლაზე შესულ სტეფანიშვილსაც მართებდა გატანა, მაგრამ ხეირიანად ვერ დაარტყა. მარგალიტაძემ კი ბურთი კარს გადააცილა.

და ერთიც: ბოლო წუთზე დინამოელ ეკვადორელ ანგულოს ერთი ბურთის გაქვითვა კი შეეძლო, მაგრამ ბოლოწამს გოჩა ბრეგვაძე ჩაუხტა ფეხებში და სიტუაცია განმუხტა.

ამ მოგებით საჩხერის „ჩიხურა“ ჯგუფის ლიდერი გახდა, რაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია.

ტორპედომ ზესტაფონზე იფიქრა და ქულა შერჩა

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

„ზესტაფონთან“ შაბათს გასამართი იმერული დერბის წინ „ტორპედომ“ ძალები დაზოგა და გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა პირველლიგელ „მესხეთთან“, რომელმაც მეტოქეს ტოლი არ დაუდო და დამსახურებულადაც მოიპოვა ქულა, თუმცა მასპინძლებმა უამრავი საგოლე მომენტი გაანიავეს და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ.

პირველივე წუთებზე მანუჩარ წიქარიშვილის დარტყმული ეფექტურ ნახტომში მოიგერია მეკარემ.

30-ე წუთზე ნიკა ნადირაძის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთთან გიორგი კრასოვსკი აღმოჩნდა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა, თუმცა ბურთი გაექცა და ხელსაყრელი მომენტი გაანიავა.

მალე წიქარიშვილი გავიდა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ძალიან ცუდად დაარტყა და კარს ააცილა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ისევ გაიწიეს გასატანად — ჯერ მანუჩარ წიქარიშვილმა ააცილა ახლო მანძილიდან, ათ წუთში კი არმაზ დოღონაძის შორიდან დარტყმულმა ხარიხას ჩაუქროლა.

სტუმრები ბოლო წუთებზე გააქტიურდნენ — გიორგი ქოჩორაშვილის დარტყმის შემდეგ „ტორპედო“ აშკარად გადაურჩა გაშვებულ გოლს.

ქუთაისი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 0:0 მესხეთი

ტორპედო	მესხეთი
კოდალაევი, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, გოგია, ჭედია (ლალაძე 26), გურული (ზ. ჩხეტიანი 43), კრასოვსკი, დოღონაძე, ხორავა (გ. ჩხეტიანი 46), ნ. ნადირაძე, წიქარიშვილი	მამარდაშვილი, თელიაშვილი, კობესაშვილი, ელისაშვილი, მგელაძე, ლეკიშვილი, გამცემლიძე, მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, გ. სუდაძე (შატაკიშვილი 70), შ. მუმლაძე (ქოჩორაშვილი 88)
სათადარიგონი: ქვილითაია, ზ. ქუთათელაძე, მ. ღონღაძე, ა. კვერნაძე	სათადარიგონი: ძამუნაშვილი, კუკულაძე, ზ. სუდაძე, ჩუთლაშვილი
მწვრთნელი: იური კვერნაძე	მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: ლეკიშვილი (54)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ო. მოლოდინაშვილი, ლ. მიქელაძე; ზ. ერქვანია

დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

დირექტორი: ვ. ქორიძე

რაც არ არი, არ არიო

ბათუმი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო. 100 მაყურებელი

ბათუმი 1:1 სიონი

1:0 ოქრუაშვილი (17), 1:1 ალავიძე (45)

ბათუმი	სიონი
სომხიშვილი, ექონია, უ. ლობჟანიძე, ქორიძე, აბშილავა, კუნჭულია (ტუღუში 74), ნაჭყებია, კოშკაძე (ფარტენაძე 66), ბეჟანიძე (ბერიძე 46), ოქრუაშვილი, რ. ჯიქია	ბათიაშვილი, კობაური, ფრიდოლინი, ჭიჭვეიშვილი (ლ. ჭელიძე 46), რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, ზ. ჭელიძე, ლ. ბაჯელიძე, ა. ალავიძე, ჩასემი (ბ. ცხადაძე 76), ივოზე (ქარდავა 66)
სათადარიგონი: თოთლაძე, ა. ბაჯელიძე, ჯინჭარაძე, ბაციკაძე	სათადარიგონი: ბობღიაშვილი, სვანიძე, ვ. უგრეხელიძე, ოქროპირიძე
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე	მწვრთნელი: გიორგი ვიფშიძე

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (87)

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, კ. გაბრიაძე; მ. ნაკაიძე

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

მატჩი უღიმღამო გამოდგა. მთელი თამაშის განმავლობაში ორადორი ეპიზოდი ჩავინიშნე და ორივე გოლით დასრულდა.

პირველი ტაიმი მოედნის ცენტრში ჯაჯგურში გაილია. მოგების ჟინი არც ერთ და არც მეორე გუნდს არ ეტყობოდა. მე-17 წუთზე ბათუმელებმა პირველად და ბოლოჯერ შეუტიეს — ალექსანდრე კოშკაძის დარტყმული მეკარემ კი მოიგერია, თუმც დამატებაზე ოქრუაშვილმა იყოჩაღა და მასპინძლებიც დაწინაურდნენ — 1:0.

თითქოს ტაიმი ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „სიონის“ ფლანგური შეტევა გოლით დასრულდა. მარჯვენა ფლანგიდან გიორგი კვიტაიშვილის ჩაწოდებულს ვერავინ შესწვდა, დაშვებულ ბურთს კი არჩილ ალავიძემ დაუხვედრა ფეხი და 1:1.

მეორე ტაიმში არაფერი მომხდარა. მცირერიცხოვანი გულშემატკივარიც ნაადრევად ტოვებდა სტადიონს. ჩვენ კი ერთი სული გვქონდა, როდის დამთავრდებოდა თამაში.

A ჯგუფი

ზესტაფონი 0:0 სპარტაკი თბილისი

კახეთი თელავი 1:1 ამერი თბილისი

C ჯგუფი

ოლიმპი რუსთავი 3:0 ნორჩი დინამოელი თბილისი

ჩიხურა საჩხერე 2:0 დინამო თბილისი

B ჯგუფი

ტორპედო ქუთაისი 0:0 მესხეთი ახალციხე

ბორჯომი 0:0 ვიტ ჯორჯია თბილისი

D ჯგუფი

მერანი თბილისი 2:0 მეშაძრე აგარა

ბათუმი 1:1 სიონი ბოლნისი

A ჯგუფი

ამერი	3	2	1	0	6:1	7
ზესტაფონი	3	1	1	1	5:2	4
კახეთი	3	1	1	1	4:6	4
სპარტაკი	3	0	1	2	0:6	1

B ჯგუფი

ტორპედო	3	2	1	0	5:1	7
ბორჯომი	3	1	1	1	2:4	4
მესხეთი	3	0	2	1	0:1	2
ვიტ ჯორჯია	3	0	2	1	0:1	2

C ჯგუფი

ჩიხურა	3	2	1	0	4:0	7
დინამო	3	2	0	1	7:3	6
ოლიმპი	3	1	1	1	3:3	4
ნ. დინამოელი	3	0	0	3	1:9	0

D ჯგუფი

ბათუმი	3	2	1	0	7:1	7
სიონი	3	2	1	0	5:2	7
მერანი	3	1	0	2	3:6	3
მეშაქრე	3	0	0	3	0:6	0

ამხანაგური მატჩი

საქართველო 1:1 საფრანგეთი

1:0 ალთუნაშვილი (17), 1:1 ბასონი (40)

საქართველო: ჯამბურია, თოთლაძე, მიზანდარი, სარქისიანი, ალთუნაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ცნობილაძე, დევდარიანი

მწვრთნელი: ანდრო მიზანდარი

საფრანგეთი: პარუნი, ბასონი, ელარსი, კრუფი, საბატიე

შეცვლაზე შევიდნენ: ბურუმი, კურარი, ოტპანი, მარკოვიჩი, პარნა, კოლაბელა, ვიზირა

მწვრთნელი: პიერ ჟაკი

გაფრთხილება: ბასონი

მსაჯები: მ. ურუშაძე, ო. ხეცაძე

8 წამიც და...

საქართველოს მოგება დაეკარგა

პირველ დღეს იოლი მოგების შემდეგ საქართველოს ფუტსალის ნაკრები ფრანგებთან გუშინაც იოლ გასეირნებას ფიქრობდა. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ნაკრები რეიტინგში საგრძნობლად დაწინაურდებოდა და ორმოცდაათეულში შეაღწევდა, თუმც ამ მიზნის განხორციელებას მხოლოდ 8 წამი დააკლდა. ისიცაა, რომ თუ ბოლო წამებამდე ვინარჩუნებდით გამარჯვების შანსს, ეს მეკარე ჯაბა ჯამბურიას დამსახურებაა.

სწორედ ჯამბურია გახლდათ ერთადერთი ცვლილება სასტარტო ხუთეულში. ქართველებისგან განსხვავებით კი ფრანგებმა მთლიანად გადაახალისეს ხუთეული.

პირველ სახიფათო შეტევა ფრანგებისა ი. ო. მე-6 წუთზე ბასონის გასროლილი ჯამბურიამ უკუაგდო. ამის შემდეგ თამაში 10 წუთით მიწყნარდა, რასაც ქართველთა გოლი მოჰყვა — გიორგი ალთუნაშვილმა შორიდან ძლიერად გაგზავნა მეტოქის კარში და პარუნი უმანსოდ დატოვა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც ფრანგებისა გამოდგა. საბატიეს ძლიერი დარტყმა ჯამბურიამ კუთხურზე მოიგერია. ორიოდ წუთში კი კულმინაციური მომენტი დადგა — ალთუნაშვილს შეეძლო, მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ სამიოდ მეტრიდან პირდაპირ პარუნს დაუმიზნა.

ამასობაში ქართველები დაიღალნენ და ფრანგებსაც ხელ-ფეხი გეხსნათ. ჯერ ოტპანის დარტყმული მოხვდა ძელს, შემდეგ ჯამბურიამ საბატიეს ორი უძლიერესი დარტყმა მოიგერია.

შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე საქართველოს ნაკრების კართან ერთწუთიანი კოშმარი დატრიალდა: ოტპანის დარტყმა ჯამბურიამ უკუაგდო, თუმცა ფრანგთა შეტევა გაგრძელდა — პარნამ მცველი და მეკარე ტექნიკურად ჩამოიშორა, მაგრამ ბურთი ფეხებში აებლანდა. ათიოდ წამში მოუხელთებელმა პარნამ იგივე გაიმეორა და ცარიელ კარს გადააცილა. ფრანგებმა გოლის სუნი იგრძნეს და დაწოლა გააძლიერეს. შეხვედრის დასრულებამდე 10 წამით ადრე ქართველები კარიდან ათ მეტრში დაჯარიმდნენ — მარკოვიჩმა ბასონს უპასა და ფრანგთა კაპიტნის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 1:1.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მე, მეფე ვბრძანებ...

ჩვენ ვთამაშობდით გრძნობებზე, თქვენ თამაშობთ ფულზე

გოლი, ფინტი, პასი, ტექნიკა, სისწრაფე, გაბედულება, გონება, სრულყოფილება... მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს ანუ პელეს პროფესიული დებიუტი 1956 წლის 7 სექტემბერს შედგა. მაშინ ბიჭმა, რომელსაც ჯერ 16 წელი არ შესრულებოდა, „სანტოსის“ შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა. აქედან დაიწყო „სანტოსის“, ბრაზილიის ნაკრების და საერთოდ მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის თავბრუდამხვევი ისტორია. სახელგანთქმულმა კლუბმა კი სახელგანთმულ კაცს 50 წლის შემდეგ ბენეფისი მოუწყო. ის პატარა, გალეული ბიჭი შემდგომში საოცრებად იქცა და სამი მუნდიალი მოინადირა. პირველად ფეხბურთის მწვერვალი 17 წლის პელემ 1958 წელს შვედურ მუნდიალზე დაიპყრო.

სკანდინავიაში პელე გარინჩას და კოპას ამჯობინეს და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იგი გახდა ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე (17 წლისა და 239 დღისა), რომელსაც მუნდიალების ფინალში გოლი გაეტანა. მაშინვე დაიბადა ტიტული O'REI — ანუ მეფე... ჰარლინგმა, შვედმა მცველმა, სტოკჰოლმში წაგებული ფინალის შემდეგ განაცხადა: „მეხუთე გოლის შემდეგ პელესთვის ტაშის დაკვრა მინდოდა“... 1962 წელს ჩილეში, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ინგლისში მეფეს ტრავმის გამო თავის გამოჩენა არ დასცალდა, თუმცა 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე უდიადესმა ბრაზილიელმა ჟაირზინიოს, ტოსტაოს, რიველინოს და კარლოს ალბერტოს გვერდით ფანტასტიკურად იბურთავა და მესამე მუნდიალიც მოიგო. ვისაც ჩეხოსლოვაკიასთან და ურუგვაისთან პელეს ჯადოქრობები უნახავს, საეჭვოა, ფეხბურთში ვინმემ ან რამემ კვლავაც განაცვიფროს...

1970 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალში პელემ მუნდიალზე ბრაზილიის ნაკრების მეასე გოლი გაიტანა. თამაშის შემდეგ იტალიელი მცველი ბურგნიჩი აღიარებდა: „მატჩის წინ ვფიქრობდი, რომ პელე ჩემსავით ხორციელი ადამიანი იყო. აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი...“ ხოლო ბრიტანულმა „სანდი ტაიმსმა“ ბრაზილიელს „ღმერთი“ უწოდა.

ბრაზილიაში დუ ნასიმენტის ყველაფერი მოიგო: 1959 წელს 127 გოლი გაიტანა, 1961-ში კი — 110. ორი კოპა ლიბერტადორესი (1961 და 1962), ორი საკონტინენტთაშორისო თასი (1962 და 1963); 1969 წლის 19 ნოემბერს კი მეფემ „მარაკანაზე“ „ვასკუ და გამას“ თავისი მეათასე გოლი გაუტანა.“

ახლა კი უდიადესი დუ ნასიმენტუ „სანტოსის“ მიერ მიძღვნილ საჩუქარს, 17 მეტრი სიგრძის სურათს, რომელზედაც თავად პელეა გამოსახული, თვალზე ცრემლმომდგარი შესცქერის. „ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთს იმ დროს ვოთამაშობდი, როცა გრძნობები უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე გასამრჯელო. რაც შემეძლო „სანტოსისთვის“, ყველაფერი გავაკეთე. დღეს კი ახალგაზრდა ფეხბურთელი, მაგალითად, „რეალის“ მაისურას იფიცებს, ექვსი თვის შემდეგ კი უკვე „მილანის“ ემბლემას ეამბორება... ჩემს დროს ეს მიუღებელი იყო, ჩვენ უფრო ერთგულნი ვიყავით“ — განაცხადა საფეხბუროო მითმა.

ლადო ხომერიკი

მარადონამ შოუბოლი შეუბერა



დიეგო არმანდო მარადონა ჰონდურასში ჩავიდა, სადაც ეგრეთ წოდებული „შოუბოლის“ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს. ფეხბურთის მეფე ცენტრალური ამერიკის ქვეყანას ოცკაციან ჯგუფთან ერთად ეწვია, რომელთა შორის „შოუბოლში“ მარადონას თანაგუნდელებიც იყვნენ.

„ჩემს შვილებთან ერთად თავს ყველაზე ბედნიერად ვგრძნობ. ასევე ბედნიერი ვარ, როცა პატივს მცემენ“ — უპასუხა მარადონამ ადგილობრივი მედიის შეკითხვებს. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ როგორ გრძნობდა თავს დიეგო თხუთმეტსაათიანი საჰაერო მოგზაურობის შემდეგ.

„ჰონდურასში იმიტომ ჩამოვედი, რომ ამ ქვეყნის უკეთ გაცნობა მსურდა. თანაც ფეხბურთით უნდა დავტკბე, ჯერ კიდევ ბევრი მატჩი დამრჩა ჩასატარებელი“ — თქვა მარადონა რეიმ.

„შოუბოლს“ დიეგო და მისი ამფსონები 42 მეტრი სიგრძის და 22 მეტრი სიგანის მოედანზე ითამაშებენ. თითოეული ტაიმი 25 წუთს გრძელდება, ხოლო მოედანს (ბურთი რომ სულ თამაშში დარჩეს) გარშემო კედელი აკრავს.

ლადო ხომერიკი

მე ვნერვიულობ? სულაც არ ვნერვიულობ...

დელ პიეროს წნევამ 200-მდე აუწია

ტურინის „იუვენტუსი“ მზად არის, ვეტერან თავდამსხმელსა და გუნდის კაპიტანს ალესანდრო დელ პიეროს კონტრაქტი გაუხანგრძლივოს. მოქმედი შეთანხმებით, „ბებერი ქალბატონის“ ნომერი 10 „იუვესთან“ 2008 წლამდეა დაკავშირებული.

მოგეხსენებათ, დელ პიერო თავისი მეორასე იუვენტუსური გოლის მოლოდინშია და ამის გამო ცოტა დაძაბულია, რაც გუნდზეც მოქმედებს. მას მცირე კონფლიქტიც მოუხდა ტურინელთა მწვრთნელ დიდიე დეშანთან.

„დელ პიერო „იუვენტუსისთვის“ პრობლემა არასოდეს იქნება, იგი გუნდის სიმბოლოა. მის დამსახურებებზე და კლასზე ლაპარაკი არც ღირს. შესაძლოა, მის მეორასე გოლზე მართლაც ზედმეტს ლაპარაკობენ და დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, მაგრამ ეს არ გვაწუხებს, ჩვენი მენეჯერი ალესიო სეკო და დირექტორი ჟანკლოდ ბლანი ალექსთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ. არა მგონია, რაიმე სირთულე შეიქმნას“ — თქვა „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

„მეორასე გოლი მალე იქნება. ამის გამო ისე არ ვნერვიულობ, როგორც წერენ და ამბობენ. 199 უკვე გავიტანე და კიდევ ერთი პრობლემას არ წარმოადგენს“ — აღნიშნა თავად დელ პიერომ.

გიორგი კაკაბაძე

ჩინურად მოქეიფენი

რუნიმ საცოლე ბელამიში გაცვალა

„მანჩესტერის“ და ინგლისის ნაკრების ფორვარდმა უეინ რუნიმ, ყველასთვის მოულოდნელად, თავისი 21-ე დაბადების დღე ოჯახთან და საცოლე კოლინთან ერთად კი არა, „ლივერპულის“ მოიერიშე კრეიგ ბელამის კამპანიაში, ჩინურ რესტორანში აღნიშნა. საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის წინ მანჩესტერელი და ლივერპულელი მოქეიფენი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს იდგნენ, ინგლისის ჩემპიონატის მეცხრე ტურში ხომ ერთმანეთს მათი გუნდები ერკინებოდნენ.

ალბათ ფეხბურთელის საქციელმა მისი საცოლე გააბრაზა — კოლინმა ხომ რუნის ძვირადღირებული საჩუქრები უყიდა. მათ შორისაა 30 ათას გირვანქიანი „ჯაკობსის“ მარკის საათი და გოლფის სათამაშო ტრენაჟორი, რომელიც 15 ათასი გირვანქა ღირს. გარდა ამისა, კოლინმა თავისი გულის სწორისთვის 5 ათას გირვანქად ოქროს ბალთებით მორთული სპორტული ჩანთა შეიძინა. მას უნდა, რომ რუნიმ ეს ჩანთა ისრაელში წაიღოს, როცა ინგლისის ნაკრებთან ერთად იქ სათამაშოდ გაემგზავრება. ერთი საჩუქარიცაა გამზადებული, ოღონდ კოლინი ამას საიდუმლოდ ინახავს. სავარაუდოდ, ეს გიტარაა, მავანი სახელგანთქმული მუსიკოსის ავტოგრაფით.

ლადო ხომერიკი

საცოდავი ფერნანდეში

რეალმა გადაუარა, სტიაუამ მოკლა

„სტიაუას“ პორტუგალიელი მეკარე კარლუშ ფერნანდეში რუმინული კლუბიდან წასვლას აპირებს. „სტიაუას“ უფროსობამ იგი მადრიდის „რეალთან“ ამასწინდელ სალიგო მატჩში დამარცხებაში დაადანაშაულა. რუმინელთა აზრით, ბუქარესტული ფიასკო სწორედ ფერნანდეშის ბრალია. ამის გამო პორტუგალიელმა ძირითადში ადგილი დაკარგა — მის მაგივრად „სტიაუას“ კარს კორნელ სერნეა იცავს.

„აქ დარჩენას არ ვაპირებ, ძალიან უსამართლოდ მომექცნენ. კი, „რეალმა“ 4 გოლი გამიტანა, მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ, გოლები ვისგან მივიღეთ“ — ამბობს გაღიზიანებული ფერნანდეში. გარდა ამისა, კარლუში „სტიაუას“ პრეზიდენტ ბეკალიზეც ძალიან გაბრაზებულია. ბეკალის უთქვამს, ოღონდ ეს მარცხიანი პორტუგალიელი გუნდიდან მომაშორეთ და მსურველ კლუბს ფულს იქით გადავუხდიო... „აუცილებლად წავალ. მას შემდეგ, რაც „სტიაუასთვის“ გავაკეთე, კლუბის ხელმძღვანელთაგან ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ ვიმსახურებდი“ — აცხადებს „მარცხიანი პორტუგალიელი“.

ბექემი იაფად

საქმე ისაა, რომ დევიდ ბექემი უარს ამბობს „რეალთან“ ახალი, ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე.

ფეხბურთელი კლუბში დარჩენის აზრს ვერ ხედავს, რახან სკამზე ზის და ბოლო კლასიკოში მხოლოდ 7 წუთით გამოჩნდა მოედანზე.

ზაფხულში ბექზი თავისუფალი აგენტი ხდება და რახან ასეა, „რეალი“ ეცდება იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას გაყიდოს ფეხბურთელი. სავარაუდო ფასი მხოლოდ ხუთი მილიონი გირვანქა იქნება, რაც ხუთჯერ ნაკლებია თავის დროზე ბექემში „მანჩესტერისთვის“ გადახდილ თანხაზე.

ანუ ბექემის უარი „რეალს“ 20 მილიონით აზარალებს. საერთოდ, მადრიდელებს სურთ და აწყობთ ინგლისელის შენარჩუნება, რადგან ის კვლავაც რჩება ფულის წყაროდ მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ბექემს თამაში უნდა.

მადრიდელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კი თქვა: „მწვრთნელისთვის ყოველთვის ძნელია 11 კაცის არჩევა. ყველა ფეხბურთელი პატივისცემით უნდა მოეკიდოს მწვრთნელის არჩევანს“.

მადრიდში მიმდინარე ამბით უკვე დაინტერესდა „ნიუკასლი“, თუმცა ბექზს ნათქვამი აქვს, რომ ინგლისში აღარ დაბრუნდება. ამბობენ, რომ მას გული ამერიკისკენ მიუწევს.

ირაკლი გამყრელიძე

დომენეკმა გაღმა ნიჭი დაინახა

რაიმონ დომენეკს ნაკრებში 19 წლის გონსალო იგუაინის მიწვევა სურს. „რივერ პლეიტის“ ფორვარდი საფრანგეთში, ბრესტშია დაბადებული და არგენტინაში გაიზარდა. მან ცოტა ხნის წინ არგენტინის 18-წლამდელთა ნაკრებში გამოსვლა იუარა, რათა საფრანგეთის ეროვნულ გუნდში თამაშის უფლება არ დაეკარგა. მამამისი, ხორხე იგუაინი, თავის დროზე „ბოკა ხუნიორსშიც“ იყო და „რივერ პლეიტშიც“, მისი ძმა ფედერიკო კი „ნუევა ჩიკაგოს“ ფეხბურთელია.

ამ სეზონში გონსალო იგუაინმა ათ მატჩში უკვე ექვსი გოლი გაიტანა და მათგან ორი ძალიან ძვირფასი გამოდგა, რადგან „ბოკა ხუნიორსის“ კარში შეაგდო და „რივერ პლეიტს“ მოაგებინა. „რივერის“ მწვრთნელმა დანიელ პასარელამ თქვა, მისგან დიდი ფეხბურთელი დადგებაო.

საფრანგეთს ბოლო ათი წლის განმავლობაში ნიჭიერი მოთამაშეები არ აკლდა, მაგრამ დრო მიდის და ანრი-ტრეზეგეს თაობაც რამდენიმე წელში ისტორიას ჩაბარდება. ამიტომ დომენეკი ცდილობს, თუკი სადმე ნიჭიერი, საფრანგეთში დაბადებული ფეხბურთელი გამოჩნდება, ხელიდან არ გაუშვას. „19 წლის ბიჭი ასეთ დონეზე რომ თამაშობს, ეს უკვე ბევრს ნიშნავს და აუცილებლად მოვიწვევ ნაკრებში. მას ფრანგული პასპორტის აღება და ჩვენი ეროვნული გუნდის მაისურის მორგება სურს. ვაკვირდები და ვიმედოვნებ, რომ „ერთდღიანი“ ფეხბურთელი არ იქნება, რომელიც ისევე უცბად ქრება, როგორც ჩნდება“ — თქვა დომენეკმა და, მისი აზრით, იგუაინი თამაშის ყაიდით ძალიან წააგავს დავიდ ტრეზეგეს. შეგახსენებთ, რომ ტრეზეგეც არგენტინაში ცხოვრობდა და 17 წლისა ჩავიდა საფრანგეთში.

გონსალო იგუაინი ირჩევს საფრანგეთს

„ბოკა ხუნიორსის“ კარში გატანილმა გოლებმა იგუაინს ისე გაუთქვა სახელი, რომ მასზე უკვე „ნადირობენ“ ბობოლა ევროპული კლუბები. მათ შორის არიან „ჩელსი“, „ლივერპული“, „მანჩესტერი“ და პსჟ.

ირაკლი ნინიძე

ტორინომ ინტერი გაახმოვანა

მორატი მორატორიუმს გადაურჩა

იტალიის ფეხბურთის ლიგას ორი ახალი მმართველი ჰყავს — „ინტერის“ მფლობელი მასიმო მორატი და „ატალანტას“ პრეზიდენტი ივან რუჯერი.

„ლიგა კალჩოს“ ახალ პრეზიდენტ ანტონიო მატარეზეს წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად „სამპდორიას“ შეფი რიკარდო გარონე გადადგა, ხოლო „რომას“ მმართველთაგანი როსელა სენსი ვიცე-პრეზიდენტი გახდა და სერია A-ს კლუბების გაერთიანებაში ამ ორ გათავისუფლებელ ადგილს შევსება სჭირდებოდა.

მასიმო მორატისთვის იოლი არ იყო ახალ თანამდებობაზე არჩევა. მან საჭირო 15 ხმა ვერ დააგროვა და, ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე ცდის შემდეგ მაინც აირჩიეს, ივან რუჯერის კი ექვსი ცდა დასჭირდა.

„როცა პროცედურა გაიწელა, გადავწყვიტე, უკან დამეხია და კანდიდატურა მოვხსენი, რათა ხმები მორატის რგებოდა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რაგან მრავალი წელია, რაც ის ფეხბურთშია და ამ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს“ — თქვა „ტორინოს“ პრეზიდენტმა ურბანო კაირომ.

სერია B-ს კლუბების გაერთიანების ოთხი მმართველის არჩევნებმა კი გაცილებით უხმაუროდ ჩაიარა. „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ და „ბოლონიას“ შეფმა ალფრედო კაცოლამ რეალური კონკურენციის გარეშე გაიმარჯვეს.

კოკი კანდელაკი

არჩევნების რეპეტიცია

მთავარ როლში პლატინის ხედავენ

ცნობილი ფრანგული გამოცემის „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, უეფას პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში მიშელ პლატინის გაცილებით დიდი შანსი აქვს, ვიდრე მოქმედ პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს. შეგახსენებთ, უკვე 16 წელიწადია, რაც შვედი ევროპული ფეხბურთის სათავეშია.

გამოკითხულთა 52 პროცენტმა ხმა პლატინის მისცა, 34 პროცენტმა — იუჰანსონს, ხოლო დანარჩენებმა თავი შეიკავეს. უეფას ახალი პრეზიდენტის არჩევნები 2007 წლის 27 იანვარს დიუსელდორფში მოეწყობა და მასში მონაწილეობას ევროპის 52 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიიღებს.

ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი, რომელიც ახლა არანაკლები ამბიციით აგრძელებს ფეხბურთში საქმიანობას, უკვე საკმაო ხანია, დიდი შემართებით აწარმოებს თავის საარჩევნო კამპანიას და არც მალავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში სერიოზული რეფორმების გატარებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი, გერმანელი ფრანც ბეკენბაუერია, ვინც თავისი გეგმების გამოაშკარავებას უახლოეს მომავალში აპირებს.

კოკი კანდელაკი

ლიპი, რა, პატარძალია?!

მექსიკელები მაესტროს ყველა მხრიდან ამოწმებენ



მარჩელო ლიპი მექსიკის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი ყოფილა. მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ წასული რიკარდო ლა ვოლპეს შემცვლელის ძიებაშია და ნაკრების ახალი თავკაცის ვინაობა 16 ნოემბრამდე უნდა დაასახელოს.

მუნდიალის მოგების მერე „სკუადრა აძურადან“ წასულმა ლიპიმ კი ცოტა ხნის წინ განაცხადა, საქმეს გაისად დავუბრუნდები და ნებისმიერ წინადადებას განვიხილავ, თუნდაც იგი გრანდისგან არ იყოსო.

„ვადასტურებ, რომ მარჩელო ლიპი მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატია“ — თქვა მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დესიო დე მარიამ.

მექსიკის ეროვნული ნაკრების კომიტეტი, რომელმაც ახალი მწვრთნელი უნდა შეარჩიოს, ფედერაციის ჩინოვნიკების გარდა ქვეყნის ცნობილი კლუბების — „ატლანტეს“, „პუმასის“, „გვადალახარას“, „ტეკოსისა“ და „ხაგუარესის“ წარმომადგენლებისგან შედგება. გავრცელებული ცნობით, ლიპის გარდა, მათ სიაში უგო სანჩესი, იურგენ კლინსმანი და ამერიკო გალიეგო არიან.



ნინო ლევანტედან

ხავიერ აგირეს „ატლეტიკო“ თასიდან დაითხოვეს

ესპანეთი

თასი. 1/16 ფინალი

ალავესი 0:0 სელტა

ატლეტიკო 0:1 ლევანტე

კოპა დელ რეის მეთექვსმეტედფინალის პირველი თამაში მადრიდის „ატლეტიკომ“ „ლევანტესთან“ შინ წააგო. მადრიდში ძლიერად წვიმდა, თასის თამაშებიც იქაურ ინჩასებს ნაკლებად აინტერესებთ და სტადიონზე შეკრებილმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმაც ულიმღამო თამაში იხილა. მატჩის მიწურულს კი სტუმართა ნინომ მცველთა დაბნეულობით ისარგებლა და „ლევანტეს“ მოაგებინა. საპასუხო შეხვედრაში „ათლეტებს“ ბედის შემოსატრიალებლად გვარიანი გარჯა მოუწევთ.

აგირეს გუნდი სამშაბათს „კალდერონზე“ ტრავმებისგან შეფერთხილი გავიდა, მასპინძლებს სხვადასხვა სატკივართა გამო მაქსი, პეტროვი, გაბი, დე ლას კუევასი და მისტა ვერ დაეხმარნენ. ამის გამო „ატლეტიკოს“ უსახური თამაში გამოუვიდა, „ლევანტეს“ ფორვარდები კი შეტევაში აქტიურობით მაინცდამაინც თავს არ იკლავდნენ. სტუმართაგან დამაჯერებლად მარტო ფრანგმა ოლივიე კაპომ იბურთავა.

„ატლეტიკომ“ მეტოქის კარის დალაშქრა პირველ ტაიმში შორეული დარტყმებით სცადა. „ლევანტეს“ მეკარე, პერნიამ, ხურადომ, მანიშემ და ფერნანდო ტორესმა გამოსცადეს, თუმცა პაბლო კავალიერომ ყველანაირი ხიფათი აიცილა თავიდან. თავის მხრივ, სტუმართაგან გატანა კარმელოს, ნინოს და რიგას შეეძლოთ, თუმცა ხელსაყრელი სიტუაციები გაანიავეს. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე კი კაპოს სახიფათო საჯარიმო დარტყმა „ატლეტიკოს“ მეკარე ფრანკომ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმში აგირეს ბიჭებმა ხალხს გული მხოლოდ ერთი შესანიშნავი კომბინაციით გაუხარეს და ისიც გოლით არ დასრულებულა — ფერნანდო ტორესის და სერხიო აგეროს აქტიურობის შემდეგ ბურთი ბალერას მიუვიდა, თუმცა მან გატანა ვერ შეძლო.

გოლი კი 86-ე წუთზე გავიდა. ნინო მადრიდელთა მცველებმა ვერ შეაკავეს და „ლევანტემ“ მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

სამშაბათის მეორე სათასო მატჩი ფრედ დასრულდა. „ალავესმა“ და „სელტამ“ ერთმანეთის დაჯაბნვა ვერ მოახერხეს.

ვიტორიელ რუბენ ნავაროს ანგარიშის გახსნა მეცამეტე წუთზე შეეძლო, თუმცა ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. რამდენიმე წუთში გოლი გაბრისაც უნდა გაეხერხებინა, მაგრამ „სელტას“ მეკარე ესტებანმა ივაჟკაცა.

ვიგოელებმა ბასკების აქტიურობას გუაირეს სახიფათო დარტყმით უპასუხეს, თუმცა „სელტას“ მოთამაშემ ასპროცენტიანი საგოლე ეპიზოდი გაცუდა. სტუმრებმა თამაში ათი კაცით დაასრულეს, რადგანაც მატჩის არბიტრმა ხავიერ ტურიენსო ალვარესმა ანხელს ორი ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან მიაბრძანა. ანხელმა ორივე ბარათი ხუთწუთიან შუალედში აიკიდა...

შეხვედრის დასასრულამდე ანგარიშის გახსნა ორივე გუნდს შეეძლო, თუმცა სტუმარ-მასპინძელთა მეკარეებმა, არდიუინმა და ესტებანმა, დამაჯერებლად ითამაშეს. ახლა ყველაფერი ვიგოში, „ესტადიო ბალაიდოსზე“ უნდა გადაწყდეს.

ლადო ხომერიკი

ტურე და ბოლონი ვერ მორიგდნენ

იაიას უხარია

„მონაკოსა“ და კოტ დივუარის ნაკრების ნახევარმცველი იაია ტურე გახარებულია იმით, რომ მწვრთნელი ლასლო ბოლონი მოხსნეს, რადგან მის ხელში ვერ გაიხარა. ტურეს აზრით, ახალი თავკაცი ლორენ ბანიდე „მონაკოს“ თამაშს გამოასწორებს.

„ბოლონი უკვე წარსულს ჩაბარდა — თქვა ტურემ — მწვრთნელის საქმე ძალიან რთულია და მას უნდა გაუგო, მაგრამ მე და ბოლონის ურთიერთობა თავიდანვე გაგვიფუჭდა. მწვრთნელი იმისთვისაა, რომ სწორი გზა გვაჩვენოს და გუნდი შეკრას, ის კი პირიქით, ფეხბურთელებს შორის შუღლს აღვივებდა. ერთხელ ვთხოვე, ჩემს პოზიციაზე მათამაშე-მეთქი და მასხრად ამიგდო, ჩემს თანაგუნდელებს ეუბნებოდა, ტურეს ამ გუნდში მომავალი არ აქვსო. მე ხომ კოტ დივუარის ნაკრების წევრი ვარ და ვთვლი, რომ საქმეს ისე ვაკეთებ, როგორც პროფესიონალს შეეფერება. ბოლონის წასვლა ჩემთვის ზეიმია. ახალ მწვრთნელ ლორენ ბანიდესთან მუშაობა კი ძალიან სასიამოვნოა. „მონაკო“ არ იმსახურებს ცხრილის ბოლოში ყოფნას, რადგან კარგი ფეხბურთელები გვყავს და მჯერა, რომ ბანიდეს თავკაცობით ვითარებას მალე გავუმჯობესებთ“.

„მონაკოს“ თავმჯდომარე მიშელ პასტორზეც ამბობდნენ, ლასლო ბოლონის მიჰყვებაო, მაგრამ პასტორმა ეს ცნობა უარყო: „არსადაც არ ვაპირებ წასვლას და აქ იმისთვის ვარ, რომ კლუბს კრიზისიდან გამოსვლაში დავეხმარო“.

ირაკლი ნინიძე

არატრადიციული სერია

ოც ჯაცს ახლავე ჩამოვთვლი

ფრანკო გრილინი

როგორც ამბობენ, ეს იტალიური ფეხბურთის უკანასკნელი ტაბუა. ამაზე აპენინებზე არავინ საუბრობს და როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყველანი დელიკატურად გვერდზე იხედებიან... თუმცა იტალიურ სერია A-ში, ისევე როგორც სხვაგან ყველგან, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებიც არიან... ოღონდ, სხვა პროფესიებისგან განსხვავებით, ფეხბურთელები თავიანთ ჰომოსექსუალობას მალავენ და კარგა ხანს ალბათ სურვილიც არავის ექნება, ეს აღიაროს.

ფეხბურთელები აკრძალულ თემებზე არ საუბრობენ, თორემ 51 წლის იტალიელი სენატორი ფრანკო გრილინი ამ თემაზე ხალისით ლაპარაკობს. „იტალიურ მოსახლეობის ხუთიდან ათ პროცენტამდე არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა. სერია A-ში მოთამაშე ფეხბურთელებიდან კი სულ მცირე, 20 ჰომოსექსუალს მაინც ჩამოგითვლიდით, მათ რომ ამის გამჟღავნების მცირე სურვილი მაინც ჰქონდეთ“ — განაცხადა სენიორ გრილინიმ.

მემარცხენე დემოკრატმა (და, რაღა დასამალია, თავადაც „არატრადიციულმა“) გრილინიმ ისიც თქვა, იტალიის ჩემპიონატის ერთ ფრიად პატივცემულ მსაჯს ვიცნობ, რომელიც ჰომოსექსუალთა რიგებს მიეკუთვნებაო.

პოლიტიკოსის ვერსიით, „არატრადიციულთა“ მთავარ საფეხბურთო კერპად ისევ დევიდ ბექემი რჩება, ხოლო იტალიაში მათ ყველაზე მეტად მილანელი კაკა მოსწონთ. „ბექემი და კაკა ჰომოსექსუალისტები არ არიან, თუმცა სერია A-ში განსხვავებული ორიენტაციის მქონე ოცზე მეტი ფეხბურთელია“ — ამბობს ფრანკო გრილინი.



პოლ ლე გუენი ბერგუნოს გუნდბაზეა

გლაზგოს „რეინჯერსის“ მწვრთნელი პოლ ლე გუენს შეტევის გაძლიერება სურს და თავდამსხმელს ეძებს. ფრანგი „ტულუზს“ მიადგა, რომელშიც ბრაიან ბერგუნო თამაშობს — საფრანგეთის 21 წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფორვარდი. ბერგუნო ადრე „ლიონში“ იყო, როცა გუნდს პოლ ლე გუენი თავკაცობდა და ერთმანეთს კარგად იცნობენ.

ფორვარდი ახლა უკმაყოფილოა იმით, რომ „ტულუზის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ. ფეხბურთელის აგენტი უკვე შეხვდა კლუბის შეფებს და თავისი კლიენტის მომავალზე ესაუბრა. ძირითად შემადგენლობაში თუ არ ათამაშებთ, იანვარში სხვა კლუბს მოვუძებნიო. ფრანგული მედიის ცნობით, პოლ ლე გუენს „რეინჯერში“ ბერგუნოს მიყვანა უნდა და ამ საკითხზე ტულუზელებთან შეხვედრას აპირებს. თავის მხრივ, ფრანგი თავდამსხმელი „პალერმოს“ მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინისაც მოსწონს, რომელიც წინა სეზონში „მონაკოში“ მუშაობდა და ბრაინ ბერგუნოს ქომაგი ყოფილა.

ირაკლი ნინიძე

რკინის ჩეხური თავი

ძალიან გთხოვთ, ნუ შეაწუხებთ!

თავის ქალაზე ურთულესი ოპერაციის შემდეგ პეტრ ჩეხი მომჯობინდა და საავადმყოფოდან სახლში გაუშვეს. „ჩელსის“ მეკარემ ტრავმა „რედინგთან“ მატჩის პირველივე წუთზე მიიღო, როცა სტეფან ჰანტს შეეჯახა. ჩეხ მეკარეს ქალა დაუზიანდა და ტვინის შერყევაც დაემართა. ოპერაციისას მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, რკინის ორი პატარა ფირფიტაც ჩაუმონტაჟეს, მაგრამ მომავალი კვირიდან უკვე გამოჩნდება გუნდის ბაბაზე და აღდგენით ვარჯიშებს დაიწყებს.

თავიდან ისე ჩანდა, რომ კარს სეზონის ბოლომდე ვერ დაუბრუნდებოდა, მაგრამ, ექიმების თქმით, შესაძლოა, უკვე იანვარში შეუდგეს ბურთით ვარჯიშს.

„წესით, სამედიცინო პრაქტიკაში, ასეთი ოპერაციის შემდეგ სამთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდია საჭირო და, ალბათ, იანვარში უკვე კარგში ჩადგება. მასმედიას ვთხოვთ, რომ ჩეხს და მის ოჯახს ნუ შეაწუხებენ“ — ნათქვამია „ჩელსის“ ოფიციალურ განცხადებაში.

გიორგი დარჯანია

„ევერტონის“ გულწასული კაპიტანი დევიდ ვეირი ჰოსპიტალში გააჭანეს

პერდიუს ორი ჩაქუჩი უნდა ეჭიროს

ჩესტერფილდში ჰრემიერბიჭებს ჩაგრავენ

ინგლისი

ლიგის თასი. III ეტაპი

ჩესტერფილდი 2:1 ვესტ ჰემი
ლიდსი 1:3 *საუთენდი*
ლესტერი 2:3დ.(2:2) *ასტონ ვილა*
ნოტსი 2:0 საუთჰემპტონი
პორტ ვეილი 3:2პენ.(0:0) *ნორვიჩი*
უენსდი 2:4 *ბირმინგემი*
უოტფორდი 2:1 ჰალი
ვესტ ბრომვიჩი 0:2 *არსენალი*
უიკომბი 3:2პენ.(1:1, 2:2)*დონკასტერი*
ევერტონი 4:0 ლუტონი

ძალიან ცუდადაა „ვესტ ჰემის“ საქმე. „ჩაქუჩებმა“ ზედიზედ მერვე მატჩი წააგეს და ინგლისის ლიგის თასს, პირველლიგელ „ჩესტერფილდთან“ მარცხით დაემშვიდობნენ.

მატჩის დასაწყისი „ვესტ ჰემს“ ცუდს არაფერს უქადდა. „ჩაქუჩებს“ გოლი 672 წუთის მანძილზე არ გაეტანათ და მარლონ ჰარვუდმა ნავსი გატეხა. მან მეოთხე წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი. ტაიმი ასევე მორჩა, მაგრამ მეორე ნახევარში ჩესტერფილდელები გააქტიურდნენ და საბოლოოდ დამსახურებულადაც იმარჯვეს. ანგარიში კოლინ ლარკინმა გაათანაბრა, ხოლო 87-ე წუთზე კალებ ფოლანმა მეორე შეაგდო.

აღვნიშნოთ, რომ „ჩესტერფილდმა“ ლიგის თასს აქამდე, პრემიერლიგის კიდევ ერთი ბინადარი, „მანჩესტერ სიტი“ გამოთიშა. „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ალან პერდიუ კი მალე შეიძლება მოხსნან. ამ მარცხმა მისი კრიტიკოსთა რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა.

„გამოვეთიშეთ ლიგის თასს, უეფას თასს და ცუდი მდგომარეობა გვაქვს პრემიერლიგაში. ერთი სიტყვით, მძიმე პერიოდი გვიდგას და რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ. ახლა განსაკუთრებული შემართება და ხასიათის გამოვლენა გვჭირდება. მე მზად ვარ, ვიბრძოლო, იმედია, ბიჭებიც“ — თქვა პერდიუმ.

„შეფილდ იუნაიტედი“ პრემიერლიგის კიდევ ერთი ბინადარია, რომელიც „ბირმინგემმა“ მესამე ეტაპიდან დაიფრინა. არადა, ნილ უორნოკის გუნდი ადე აკინბაის ეფექტური დარტყმით დაწინაურდა, თუმცა სტუმრებმა მასპინძელთა დაცვის შეცდომებით ისარგებლეს და 79-ე წუთისთვის უკვე 3:1-ს იგებდნენ. 85-ე წუთზე ნიკ მონტგომერიმ სხვაობა შეამცირა და „შეფილდიც“ მთელი გუნდით წინ წავიდა, რისთვისაც ბოლო წამებზე სებასტიან ლარსონმა დასაჯა და 2:4.

ნილ უორნოკი: „რამდენიმე შეცდომა დავუშვით, რომელთა გამეორება არ შეიძლება. მთლიანობაში ბიჭებმა კარგად ითამაშეს და შაბათს „ჩელსისთან“ იგივე შემადგენლობით ვაპირებთ გასვლას“.

მარტინ ონილს თავის დროზე „ლესტერთან“ ერთად ლიგის თასი მოუგია, ახლა კი იგი „ასტონ ვილას“ მწვრთნელია და თავის ყოფილ გუნდთან ჭიდილი ძალიან გაუჭირდა.

ხუან პაბლო ანხელმა ბირმინგემელები მე-5 წუთზე დააწინაურა, რიჩარდ სტირმენმა წონასწორობა 42-ეზე აღადგინა და თითქოს ტაიმი ამ ანგარიშით უნდა მორჩენილიყო, მაგრამ მასპინძლებმა სტილიან პეტროვის წაქცევისთვის პენალტი „დაიმსახურეს“, რომელიც გარეთ ბერის ზუსტად დაარტყა.

ორმხრივ იერიშებში მიმდინარე მატჩის დასრულებას 5 წუთი უკლდა, როცა პატრიკ კიორბომ ანგარიში ისევ გაათანაბრა. მალევე მასპინძლებმა მეორე პენალტი აიკიდეს, მაგრამ ბერის ამჯერად ჰოლ ჰენდერსონმა აუღო. ხოლო როცა ამ დრამატული მატჩის დამატებითი დროის დასრულებას 1 წუთიღა აკლდა, „ასტონ ვილას“ ფორვარდმა გაბრიელ აგბონლაჰორმა გამარჯვებისა შეაგდო.

„არსენალი“ სარეზერვო შემადგენლობით ეთამაშა „ვესტ ბრომვიჩს“, მაგრამ მაინც იოლად იმარჯვა. „მეთოფეებს“ ჯერემი ალიადირის წყვილმა გოლმა მოაგებინა. პირველ ტაიმში ახალგაზრდა ფეხბურთელმა პენალტით შეაგდო, მეორე ნახევრის დებიუტში კი ეფექტური დარტყმით წერტილი დასვა.

„მეთოფეებთან“ დაკავშირებით ვახსენოთ კოლო ტურე, ვინც ფრანსესკ ფაბრეგასისა და იოჰან ჯურუს მსგავსად თავისი მომავალი „არსენალს“ დიდი ხნით დაუკავშირა. კონტრაქტის ხანგრძლივობა ჯერ არ დაუკონკრეტებიათ.

„აქ კარიერის ბოლომდე დიდი სიამოვნებით დავრჩები. ძალიან მიხარია, რომ კლუბთან ახალი, ხანგრძლივი კონტრაქტი გავაფორმე. ლონდონში თავს კარგად ვგრძნობ, ჩემი ოჯახიც აქ დასახლდა და „არსენალიც“ ბრწყინვალე გუნდია“ — თქვა 25 წლის კოტდივუარელმა.

ლივერპულის „ევერტონმა“ უპრობლემოდ მოუგო „ლუტონს“, თუმცა დევიდ მოიესის გუნდს გამარჯვება დევიდ ვეირის თავის ტრავმამ ჩაუმწარა. ვეტერანი მცველი ლუტონელ ლეონ ბარნეტს შეეჯახა და პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„ეს ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო. ორივე ფეხბურთელი უშიშრად წავიდა ბურთისკენ და, სამწუხაროდ, დევიდმა ასეთი ტრავმა მიიღო. იგი მყისვე საავადმყოფოში წავიყვანეთ, სადაც გარკვეული პერიოდი დარჩება და დაწვრილებით გამოკვლევას ჩაუტარებენ. ექიმები ამბობენ, რომ საუკეთესო შემთხვევაში იგი სამ კვირაში დაუბრუნდება მინდორს“ — აღნიშნა „ევერტონის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ალან ირვინმა.

უაღრესად დაძაბული გამოდგა მეორელიგელი „უიკომბისა“ და პირველლიგელი „დონკასტერის“ მატჩი. 65-ე წუთამდე თამაში უგოლოდ და შედარებით უღიმღამოდ მიმდინარეობდა, მაგრამ დონკასტერელი ჯონათან ფორტეს გოლმა თამაში გახსნა. 71-ე წუთზე სტეფან ოკაკამ ანგარიში გაათანაბრა და აქედან 3 წუთში წითელი ბარათი მიიღო. დამატებულ დროში სტუმრები კიდევ ერთხელ გავიდნენ წინ, მაგრამ ათაკაკანმა „უიკომბმა“ 116-ე წუთზე წონასწორობის აღდგენა კვლავ შეძლო და საბოლოოდ პენალტებში იმარჯვა.

წარუმატებელი გამოდგა დენის უაიზის დებიუტი „ლიდსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე. იორკშირელები არცთუ მრისხანე მეტოქე „საუთენდთან“ შინ დამარცხდნენ და ლიგის თასს დაემშვიდობნენ.

გიორგი კაკაბაძე

პენალტი-მოჩვენება

მთავარმა დაინანა. გვერდითმა ვერა

გერმანია

თასი. II ეტაპი

ბაბელსბერგი 2:4 *შტუტგარტი*
ბოხუმი 3:2 *კარლსრუე*
დორტმუნდი 0:1 *ჰანოვერი*
პირმასენსი 0:3 *უნტერჰახინგი*
ზაარბრიუკენი 0:2 *ფიურტი*
ლუგეკი 4:5პენ. (0:0) *ბურგჰაუზენი*
ვოლფსბურგი 1:0 *ფრაიბურგი*
კიოლნი 4:2დ.დ. (2:2)*შალკე*

ლევან კობიაშვილის „შალკე“ „თხამ“ შეჭამა

მეორე ბუნდესლიგის „კიოლნმა“ გელზენკირხენის „შალკეს“ დამატებით დროში მოუგო და თასის მეორე ეტაპიდან დაიფრინა. სტუმარმა დარიო როდრიგესმა 34-ე წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „თხები“ დაწინაურდნენ, რომლებიც შესვენებამდე აშკარად სჯობნიდნენ „ხუმარებს“. ამას უმალ მოჰყვა მილოვოიე ნოვაკოვიჩის გოლი, მაგრამ მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში პიტერ ლოვენკრანდსმა ერთი გაქვითა. 69-ე წუთზე უხეშობისთვის გააძევეს შალკელი ზლატან ბაირამოვიჩი, თუმცა კაცნაკლულმა „ხუმარებმა“ როდრიგესის თავურით გაათანაბრეს.

დამატებითი დროის პირველივე წუთზე დარიო როდრიგესმა ორიოდ მეტრიდან ვერ გაიტანა და ეს იყო „შალკეს“ ერთადერთი შანსი. ათკაცა სტუმრებს დაღლა დაეტყოთ და მასპინძელთაგან საუკეთესომ, თომას ბროიხმა 98-ეზე „კიოლნი“ კვლავ დააწინაურა. მერე კი შეცვლაზე შესულმა 18 წლის ადილ ჩინიმ მეოთხე გოლი შეაგდო.

„ფავორიტად „შალკე“ ითვლებოდა, რადგან ბუნდესლიგის ლიდერია, მაგრამ 2:2-ზეც კი მჯეროდა, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავიდოდით“ — თქვა ბროიხმა, ხოლო ფრანკ როსტმა განაცხადა: „დამატებით დროში 10 კაცით თამაში ძალიან ძნელია. პირველ ტაიმში „შალკეს“ ეძინა და არ ვიცი, რატომ ვერ ვითამაშეთ მოელი მატჩი ისე, როგორც შესვენების შემდეგ. ახლა ყურადღება ბუნდესლიგაზე უნდა გადავიტანოთ და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ“.

„დორტმუნდმა“ შინ წააგო „ჰანოვერთან“ და მატჩის ბოლოს დიდი გაწევ-გამოწევა იყო. მანამდე მასპინძლებს მეკარე რომან ვიდენფელერი გაუძევეს, რომელმაც საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა. ეს 49-ე წუთზე მოხდა და ათი კაცით დარჩენილმა „დორტმუნდმა“ მეტოქის შეტევებს ველარ გაუძლო. ვახიდ ჰაშემიანმა 86-ზე სტუმრები დააწინაურა. თამაშის მიწურულს მსაჯმა „ჰანოვერის“ კარში პენალტი დანიშნა და დორტმუნდელები გაახარა, მაგრამ მასპინძლებს სიხარული გვერდითმა მსაჯმა ჩაუმწარა. მთავარისა და გვერდითის კონსულტაციის შემდეგ პენალტი გაუქმდა და გაწევ-გამოწევაც ამას მოჰყვა.

ირაკლი ნინიძე

ვაი დი ვაიოს

საფრანგეთი

ლიგის თასი

1/8 ფინალი

ლე მანი 3:1 ლანსი
ნანსი 2:1 *ტულუზი*
რეიმსი 4:3პენ.(0:0) *მონაკო*
სოშო 5:0 *დიჟონი*
ლილი 0:2დ.დ. (0:0) *რენი*

„მონაკოს“ ახალმა მწვრთნელმაც ვერ უშველა და მეორე დივიზიონის „რეიმსთან“ თასის მერვედფინალში პენალტებით წააგო. შეგახსენებთ, რომ სამთავროს გუნდი გასულ ზაფხულს ლასლო ბოლონიმ ჩაიბარა, მაგრამ მის ხელში „მონაკოს“ საქმეები უკან-უკან წავიდა. სამი დღის წინ ბოლონი ლორენ ბანიდემ შეცვალა და პირველივე თამაშში დამარცხდა. სტუმრებს აურაცხელი საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ „რეიმსის“ მეკარე იოან ლიებუსმა სასაწაულები ჩაიდინა. „მონაკოს“ ჩეხი ფორვარდი იან კოლერი პირველ ტაიმში დაშავდა, მის მეწყვილე მარკო დი ვაიოს კი ორჯერ მართებდა ასპროცენტიანი მომენტის გამოყენება. მატჩის ბოლოს იტალიელი მეკარესთან პირისპირაც კი გავიდა, მაგრამ ლიებუსმა ავჯობა. მსგავსი ეპიზოდი დამატებული დროის დასაწყისშიც იყო, თუმც დი ვაიომ ამჯერადაც ვერ გაიტანა — კვლავ მეკარემ იყოჩაღა. იტალიელისთვის უიღბლო მატჩი კი იმით დასრულდა, რომ პენალტების სერიაში გადამწყვეტი დარტყმა ლიებუსმა აუღო.

„სეზონის დასრულებამდე ჯერ შვიდი თვეა და ჩემს სამუშაოს ახლა ვიწყებ. მთელმა გუნდმა უნდა მოინდომოს და კრიზისიდან აუცილებლად გამოვალთ“ — განაცხადა ლორენ ბანიდემ.

ლიგის თასის მფლობელმა „ნანსიმ“, რომელიც ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, „ტულუზი“ დაამარცხა. ანგარიში ნიგერიელმა დოსუნმუმ პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა, მეორის ბოლოში კი მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს.

„ლე მანისა“ და „ლანსის“ შეხვედრაში მასპინძლებმა სამიდან ორი გოლი პენალტით შეაგდეს, ხოლო „ლილს“ „რენთან“ 97-ე წუთზე მცველი მილოვოიე ვიტაკიჩი გაუძევეს და სტუმრებმა ამის მერე შეძლეს ორის გატანა.

გიორგი დარჯანია

პოლიტიფოზები
ღმერთი ლაციოს მაისურით

ლაციო

დისლოკაციის ადგილი: რომი
მტრები: „რომა“, „მილანი“, „იუვენტუსი“, „ატალანტა“, „ნაპოლი“, „ფიორენტინა“, „პესკარა“, „ბრეშა“
მეგობრები: „ინტერი“, „ვერონა“, „ტრიესტინა“
უცხოეთში: მეგობრობენ მადრიდის „რეალის“ ფაშისტ ინ-ჩასებთან. ცუდ ურთიერთობაში არიან „ბარსელონასთან“
მცირე რამ კლუბის და მისი ტიფოზების შესახებ: ლაციოს“ რომის მოსახლეობის შეძლებული ნაწილი ქომაგობს. ტიფოზთა უმრავლესობას ფაშსტები შეადგენენ. თავის დროზე თვით მუსოლინიც ამ კლუბის გულშემატკივარი გახლდათ... „ლაციოს“ ტიფოზები შინაური თამაშებისას გუნდს რომის ოლიმპიური სტადიონის ჩრდილოეთი ტრიბუნიდან, CURVA NORD-იდან ქომაგობენ.

1942 წელს „ლაციოს“ თანაქალაქელმა და მოსისხლე მტერმა „რომამ“ სკუდეტო მოიგო. ამის აღსანიშნავად რომაულმა პროლეტარიატმა ქუჩებში მსვლელობა მოაწყო ლოზუნგებით — „მგლები ჩემპიონები არიან, ძირს მუსოლინი!“ ამ ორ კლუბს შორის დაპირისპირება ძალიან ძველია. ფაშისტი დიქტატორი დუჩე აშკარად „ლაციოს“ გულშემატკივრობდა, რამაც ომი მემარცხენეებსა და კონსერვატორებს შორის უფრო გაამწვავა.

მუსოლინი დიდი ხანია, ისტორიის კუთვნილება გახდა, რომი კი ისევ ორ ნაწილადაა გაყოფილი, „რომა“ კვლავ მემარცხენედ რჩება, ხოლო „ლაციო“ ულტრამემარჯვენე იდეალებს არ ღალატობს...

„ლაციოს“ ტიფოზთა პირველი დაჯგუფებები („ულტრა“, „გრუპ როკი“ და „ვიკინგი“) გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. 1977 წელს ეს მცირერიცხოვანი ბრიგადები ერთ დაჯგუფებად გაერთიანდნენ, რომელსაც კლუბის სიმბოლოს საპატივცემულოდ „იგლს“ („არწივები“) ეწოდა. დაჯგუფებამ მოსისხლე „რომასთან“ ბრძოლაში თავი მალე გამოიჩინა. სხვათა შორის, ეს ბრძოლა მარტო მოედანზე და მის გარეთ, მეტოქე ტიფოზების თავპირის დაჩეჩქვით არ გამოიხატებოდა. რომაელები ერთმანეთს ტრანსპარანტების უკეთესად შედგენაშიც ეჯიბრებოდნენ და ამ მოვლენას „რომაული ტრანსპარანტების ომიც“ დაარქვეს... „ლაციალემ“ დაზვერვის ხერხებს მიმართა, რათა გაეგო, მომავალი თამაშისას რომანისტები სტადიონზე რა ლოზუნგს ააფრიალებდნენ.

ერთხელაც „რომას“ ფანებმა თავიანთ სამხრეთის ტრიბუნაზე ვეებერთელა ბანერი გაშალეს. წარწერა ასეთი იყო: „რომო, თვალი გაახილე და ცას ახედე, შენს ზევით მარტო ღმერთია!“ წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა რომანისტების განცვიფრება, როცა „ლაციოს“ ხალხმა ბოროტი მხიარულებით წამსვე თავისი ტრანსპარანტი გამოამზეურა: „და ღმერთი „ლაციოს“ თეთრ-ცისფერ მაისურას ატარებს!“... ვერაფერს იტყვი, მზვერავებმა კარგად იმუშავეს...

ოთხმოციანი წლების პირველი ნახევარი ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ფაშისტური სულისკვეთების დაცემით აღინიშნა. „არწივების“ ლიდერები ან მემარცხენეებმა დაასახიჩრეს, ან კიდევ ჩათვალეს, რომ საკმაოდ იომეს და პენსიაზე გავიდნენ... დაჯგუფებამ ნელ-ნელა სახე იცვალა და ფაშისტურიდან ზომიერად გადაიქცა. იმ პერიოდში მოდაში ოჯახური ქომაგობა შემოვიდა და ფანებს სტადიონზე ცოლ-შვილი მოჰყავდათ და კლუბს მხარს ასე უჭერდნენ. ამან კი დაჯგუფებაში დარჩენილი ჭეშმარიტი ნეონაცისტები განარისხა. როგორ შეიძლებოდა, კომუნისტების წინააღმდეგ წამოწყებულ „წმინდა ომში“ მონაწილეობა ვიღაც დედაკაცებს და ცხვირმოუხოცავ ღლაპებს მიეღოთ! 1987 წელს ოჯახური იდილიით უკმაყოფილო ტიფოზებმა ახალგაზრდა სკინჰედები და ნეონაცისტები გადაიბირეს და ახალი დაჯგუფებაც შექმნეს, სახელად IRRIDUCIBILI („ქედუხრელნი“). ამ ხალხმა ჩრდილოეთის ტრიბუნაზე თავისი ძალაუფლების დამყარება სცადა, თუმცა „არწივების“ მოიერიშეებმა 1988 წელს ატეხილ გრანდიოზულ ჩხუბში ახალგაზრდა „ქედუხრელები“ მიასიკვდილეს... თუმცა ნეონაცისტები საერთო „ლაციალედან“ არ გამოუძევებიათ, მათ CURVA NORD-ზე განაპირა ადგილი გამოუყვეს. ფაშისტებმაც მშვენივრად ისარგებლეს ამით — ჯერ ბანერები გამოფინეს მუსოლინის გამოსახულებით, მერე კლუბის ზომიერი, გრძელთმიანი ფანები გვემეს და საბოლოოდ „არწივებსაც“ გაუსწორდნენ... 1992 წლიდან ოლიმპიური სტადიონის ჩრდილოეთის ტრიბუნაზე „ქედუხრელთა“ დაჯგუფება ბატონობს.

თუმცა IRRIDUCIBILLI-ს აშკარა ფაშისტური იდეები და წრეგადასული აგრესია „ლაციოს“ ზომიერ ფანთა აღშფოთებას დღესაც იწვევს. რომაში ამბობენ, რომ „ქედუხრელთა“ ქმედებაში იტალიური არაფერი დარჩა, ისინი ინგლისელ ხულიგნებად გადაიქცნენ... რომის თეორ-ცისფერ ნაწილში სიტუაცია ნელ-ნელა კრიტიკული ხდება, „ლაციოს“ დიდი ნაწილი ფაშისტთა დიქტატურით უკმაყოფილოა...

სამაგიეროდ, „ქედუხრელებს“ იტალიის დედაქალაქის გარეთ, პროვინციულ ქალაქებში ჰყავთ მხარდამჭერ ტიფოზთა არმია. „ინტერის“ და „ლაციოს“ ძმობაზე ახლა არ ვისაუბრებთ, ეს ცალკე სალაპარაკო თემაა. გეტყვით, რომ 1983-89 წლებში ულტრასურმა მოძრაობამ იტალიის პროვინციულ რეგიონებშიც შეაღწია. ასკოლი, ჩეზენა, ვერონა, უდინე — მთელი ეს ლეგიონი ულტრამემარჯვენეა და მეტოქეთა გვემითაც დედაქალაქელ ფაშისტებზე მეტად გამოირჩევა... აღსანიშნავია, რომ პროვიცნიებში აგრესიულ დაჯგუფებაში მოსახვედრად პროლეტარობა და ვინმე მდიდარზე გაბოროტება სულაც არ არის საჭირო. ზემოთ ნახსენები „ლეგიონი“ საკმაოდ რესპექტაბელური ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. აქ არიან ტიფოზები უმაღლესი განათლებით, საკმაოდ უხვშემოსავლიანი ოჯახის მამები... ასე რომ, პროვინციული ტიფოზობა დედაქალაქურისგან განსხვავდება. თან რომის ფარგლებს გარეთ მემარცხენე მოძრაობა სულ უფრო სუსტდება, პატარა ქალაქები (კომუნისტური ლივორნოს გამოკლებით) კონსერვატორთა ბანაკში გადადიან.

ლადო ხომერიკი

სპალეტიმ ტოტის ენაზე დააბიჯა

იტალიური „რომას“ მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის ფრანჩესკო ტოტის განცხადება არ მოეწონა და იგი საჯაროდ გააკრიტიკა. შეგახსენებთ, რომ „გლადიატორთა“ კაპიტანმა ცოტა ხნის წინ თქვა, სკუდეტოს მოგების კარგ შანსს ვინარჩუნებთ და მჯერა, ამას შევძლებთო.

სპალეტი კი სულ იმას გაიძახის, სკუდეტოს მოგებას რაღაც დამატებითი ძალა სჭირდება და არ ვიცი, ჩვენ გვაქვს თუ არა ის ახლაო. „უდინეზეს“ ყოფილ მწვრთნელს ისიც არ სიამოვნებს, როცა „რომას“ ფავორიტთა სიაში იხსენიებენ და საერთოდ გუნდს მკაცრ დისციპლინაში ამყოფებს.

„ფრანჩესკო კარგად უნდა დაფიქრდეს ხოლმე, სანამ ასეთ რამეს იტყვის. იმედია, მას ახსოვს, რომ პირველ რიგში თავად უნდა მოუმატოს და თანაგუნდელებს მაგალითი მისცეს. თუ სკუდეტოს მოგება მართლა გვინდა, თამაში უნდა გავუმჯობესოთ“ — განაცხადა სპალეტიმ.

მოგვიანებით „რომას“ მეათე ნომერმა პასუხი გასცა და დაეთანხმა მწვრთნელს: „რაც სპალეტიმ თქვა, სწორია. მე, როგორც კაპიტანმა, მწვრთნელმა და გუნდის დანარჩენმა წევრებმა უნდა მოვუმატოთ, თუ გვინდა, წარმატებას მივაღწიოთ. ძალიან შეკრული გუნდი გვყავს და ყოველდღე ვბჭობთ იმაზე, თუ როგორ დავხვეწოთ და გავახალისოთ ჩვენი თამაში. მე კი ეს პირველმა უნდა გავაკეთო, რადგან კაპიტანი ვარ“.

ძოკი კანდელაკი

ჩემი რომაელი გოგო

იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ მცველ ალესანდრო ნესტას „ლაციოში“ დაბრუნება და კარიერის იქ დასრულება უნდაო, გვარწუნებს იტალიური პრესა. მოგეხსენებათ, 30 წლის ფეხბურთელს „ლაციოში“ 11 წელი აქვს გატარებული.

ნესტას „მილანთან“ მოქმედი კონტრაქტი 2008 წელს ეწურება და მხარეებს ჯერ მის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება არ დაუწყიათ. ჭორების აგორების ერთ-ერთი საფუძველი ესეც გახლავთ. „ლაციოს“ პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს ნესტას დაბრუნება იანვარშივე სდომებია, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, ეს მოხდეს.

„ალესანდროს გუნდთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და არსად გვეჩქარება, რომ უკვე გახანგრძლივებაზე ვიფიქროთ. ჭორებს ნუ აჰყვებით“ — განაცხადა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ამბობენ, ნესტას სურს, თავისი ახლადშეძენილი ქალიშვილი, სოფია, რომში გაიზარდოს და ამიტომ „მილანთან“ გაფორმებულ შეთანხმებას პატივს სცემს, 2008 წლამდე „სან სიროზე“ დარჩება და მერე „ლაციოს“ დაუბრუნდებაო.

ძოკი კანდელაკი

გაგრძელება იქნება

სარგებელი ტოტალიზატორი

წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
15:45	1	შეფილდი-ჩელსი	10.00	4.80	1.28	3.24	1.13	1.01
18:00	3	არსენალი-ეევერტონი	1.40	4.00	8.00	1.03	1.19	2.66
18:00	4	ბოლტონი-მანჩესტერი	4.35	3.20	1.80	1.84	1.27	1.15
18:00	5	ფულემი-უიგანი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
18:00	6	ლივერპული-ასტონ ვილა	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
18:00	7	პორტსმუთი-რედინგი	1.75	3.30	4.70	1.14	1.27	1.93
18:00	8	უოტფორდი-ტოტენჰემი	3.45	3.20	2.05	1.66	1.28	1.24
20:15	9	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.75	3.30	4.60	1.14	1.26	1.92
		29 ოქტომბერი						
19:00	10	ვესტ ჰემი-ბლეკბერნი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
		30 ოქტომბერი						
23:00	11	სიტი-მიდლსბრო	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52

ინგლისი. ჩემპიონატი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 ოქტომბერი						
22:45	13	ბარნლი-პრესტონი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
		28 ოქტომბერი						
15:00	14	ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
18:00	15	ბარნსლი-ქოვენთრი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	16	კარდიფი-დერბი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:00	17	კოლჩესტერი-საუთჰემპტონი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
18:00	18	კრისტალ პალასი-პლიმუთი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
18:00	19	ჰალი-სანდერლენდი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
18:00	20	ლიდსი-საუთენდი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
18:00	21	ქარ-ლესტერი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
18:00	22	სტოკი-ნორვიჩი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
18:00	23	ვულვერჰემპტონი-უენსდი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		29 ოქტომბერი						
16:15	24	იფსვიჩი-ლუტონი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50

შოტლანდია. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
18:00	49	აბერდინი-ჰიბერნიანი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	50	ფოლკირკი-დანდი იუნაიტედი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:00	51	ჰართსი-დანფერმლაინი	1.35	4.10	8.00	1.01	1.15	2.71
18:00	52	რეინჯერსი-მოზერუელი	1.25	4.70	10.00	1.00	1.11	3.19
18:00	54	სტ.მირენი-ინვერნესი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
		29 ოქტომბერი						
17:00	55	კილმარნოკი-სელტიკი	7.00	3.70	1.45	2.42	1.20	1.04

შოტლანდია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
18:00	57	კლაიდი-სტ.ჯონსტონი	3.10	3.30	2.05	1.59	1.23	1.26
18:00	58	ჰამილტონი-გრეტნა	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24
18:00	59	პარტიკი-დანდი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
18:00	60	ქუინი-ლივინგსტონი	4.50	3.60	1.60	2.00	1.18	1.10
18:00	61	როსი-ერდრი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62

შოტლანდია. II დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
18:00	62	ალოა-მორტონი	4.70	3.60	1.55	2.03	1.16	1.08
18:00	63	ეარი-ფორფარი	1.50	3.80	5.20	1.07	1.16	2.19
18:00	64	ბრეჩინი-სტრანრარი	2.20	3.30	2.70	1.32	1.21	1.48
18:00	65	პიტერჰედი-კუუდენბითი	2.35	3.20	2.55	1.35	1.22	1.41
18:00	66	რეითი-სტირლინგი	2.90	3.30	2.10	1.54	1.21	1.28

შოტლანდია. III დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
18:00	67	ალბიონი-მონტროუზი	2.50	3.20	2.35	1.40	1.21	1.35
18:00	68	არბროთი-დამბარტონი	2.35	3.30	2.60	1.37	1.23	1.45
18:00	69	ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი	5.50	3.80	1.50	2.24	1.17	1.07
18:00	70	ელგინი-სტენჰაუზმური	5.50	3.80	1.50	2.24	1.17	1.07
18:00	71	ქუინზ პარკი-ბერიკი	2.45	3.20	2.45	1.38	1.22	1.38

გერმანია. I ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 ოქტომბერი						
22:30	72	მაინცი-ვერდერი	4.50	3.50	1.70	1.96	1.23	1.14
		28 ოქტომბერი						
17:30	74	ბაიერნი-აინტრახტი	1.25	5.20	8.50	1.00	1.08	3.22
17:30	76	ბოხუმი-ვოლფსბურგი	2.15	3.20	3.15	1.28	1.27	1.58
17:30	77	კოტბუსი -ჰერტა	2.85	3.20	2.35	1.50	1.28	1.35
17:30	78	ჰამბურგი-ჰანოვერი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
17:30	79	მიუნხენ1860-ლეგერზერი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
17:30	80	ნიურნბერგი-დორტმუნდი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
		29 ოქტომბერი						
19:00	81	არმინია-ალემანია	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	82	შტუტგარტი-შალკე	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47

ესპანეთი. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
22:00	195	ბარსელონა-უელვა	1.15	6.80	13.00	1.00	1.05	4.46
23:45	200	ტარაგონა-რეალი	7.00	3.90	1.45	2.50	1.20	1.05
22:00	203	რასინგი-ვალენსია	3.90	3.20	1.85	1.75	1.25	1.17
		29 ოქტომბერი						
23:00	194	ატლეტიკო-სარაგოსა	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
19:00	197	ბეტისი-მალიორკა	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
20:00	198	სელტა-სევილია	2,75	3.10	2.50	1.45	1.30	1.38
19:00	199	ხეტაფე-დეპორტივო	2.35	3.10	2.90	1.33	1.29	1.49
19:00	201	ლევანტე-ესპანიოლი	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
21:00	202	ოსასუნა-ბილბაო	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
19:00	205	სოსიედადი-ვალიარეალი	2.70	3.10	2.50	1.44	1.29	1.38

საფრანგეთი. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
19:15	217	ლანსი-ოსერი	1.85	3.10	4.30	1.15	1.29	1.80
22:00	219	ბორდო-სედანი	1.50	3.50	6.70	1.04	1.22	2.29
22:00	220	ლე მანი-ლილი	2.70	2.80	2.70	1.37	1.35	1.37
22:00	221	ლორიანი-ვალენსიენი	2.10	2.80	3.70	1.20	1.33	1.59
22:00	222	ნანტი-მონაკო	2.55	2.80	2.80	1.33	1.33	1.39
22:00	223	პსჟ-რენი	1.75	3.20	4.60	1.13	1.26	1.88
22:00	224	ტულუზი-სოშო	1.95	3.10	3.80	1.19	1.28	1.70
22:00	226	ტრუა-სტ.ეტიენი	2.60	2.80	2.80	1.34	1.34	1.39
29 ოქტომბერი								
22:00	227	ნიცა-მარსელი	3.10	3.00	2.25	1.52	1.30	1.28
22:00	229	ლიონი-ნანსი	1.32	4.50	8.50	1.02	1.14	2.94

ბელგია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		27 ოქტომბერი						
22:30	242	ბრიუგე-მუსკრონი	1.30	4.60	8.50	1.01	1.12	2.98
		28 ოქტომბერი						
20:00	243	ბეერსხოტი-შარლეროა	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
22:00	244	ანდერლეხტი-ლიერსი	1.15	6.00	15.00	1.00	1.06	4.28
22:00	246	ბევერენი-სტანდარდი	3.70	3.40	1.85	1.77	1.23	1.19
22:00	248	გენტი-ბრიუსელი	1.65	3.50	4.70	1.12	1.22	2.00
22:00	249	მონსი-ვარეგემი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
22:00	250	რუხელარე-სერკლი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
22:00	251	ვესტერლო-ლოკერენი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
22:00	252	სტ.ტრუიდენი-გენკი	3.70	3.30	1.90	1.74	1.25	1.20

ჰოლანდია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		26 ოქტომბერი						
22:00	270	ფეიენოორდი-ტვენტე	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
22:00	271	ბრედა-უტრეხტი	2.25	3.40	2.65	1.35	1.21	1.48
22:00	272	ტილბურგი-ალკმაარი	5.50	3.60	1.55	2.17	1.20	1.08

საბერძნეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 ოქტომბერი						
20:00	321	ოლიმპიაკოსი-ერეოტელისი	1.10	7.50	15.00	1.00	1.02	5.00
22:00	323	აეკ-კალამარია	1.20	6.00	10.00	1.00	1.07	3.75

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		29 ოქტომბერი						
18:00	325	იონიკოსი-ატრომიტოსი	2.25	2.80	3.20	1.24	1.32	1.49
18:00	326	კერკირა-პანიონიოსი	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
18:00	327	ოლიმპია-პაოკ	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
20:00	328	ეგალეო-ქსანთი	2.10	2.90	3.55	1.21	1.31	1.59
20:00	329	ოფი-არისი	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
22:00	330	ირაკლისი-პანათინაიკოსი	5.00	3.40	1.65	2.02	1.24	1.11
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		29 ოქტომბერი						
20:00	411	ბრანი-ჰამარი	1.70	3.60	4.50	1.15	1.23	2.00
20:00	412	ლინი-ფრედრიკსტადი	1.80	3.50	3.90	1.18	1.23	1.84
20:00	413	ოდ ერენლანდი-ლილესტრომი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
20:00	414	რუსენბორგი-ვიკინგი	1.55	3.80	5.50	1.10	1.20	2.24
20:00	415	სანდეფიორდი-ვოლერენგა	2.55	3.20	2.60	1.41	1.28	1.43
20:00	416	სტაბეკი-მოლდე	2.05	3.40	3.20	1.27	1.24	1.64
20:00	417	ტრომსიო-სტარტი	1.80	3.70	3.65	1.21	1.20	1.83
		შვედეთი. ალსვენსკა						
		26 ოქტომბერი						
21:00	430	აიკ-გიოტებორგი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
21:00	431	ელფსბორგი-გაის	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
21:00	432	გეფლე-ჰალმსტადი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
21:00	433	ჰეკენი-ჰამარბი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
21:00	434	კალმარი-ჰელსინგბორგი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
		ბრაზილია						
		26 ოქტომბერი						
23:45	483	ფლუმინენსე-გრემიო	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:45	484	ინტერნასიონალი-ჟუვენტუდი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
23:45	488	სანტა კრუზი-ფორტალესა	2.25	3.20	2.75	1.32	[illegible]	[illegible]
23:45	491	ვასკუ და გამა-ფლამენგო	2.35	3.20	2.65	1.35	[illegible]	[illegible]
		ესპანეთი. თასი						
		26 ოქტომბერი						
22:00	575	ეჩიხა-რეალი	9.50	5.00	1.25	3.27	1.10	1.00
		საფრანგეთი. თასი						
		25 ოქტომბერი						
19:00	537	სტ.ეტიენი-მარსელი	2.55	2.90	2.70	1.35	1.31	1.39
22:00	538	ოსერი-ბორდო	2.20	2.90	3.15	1.25	1.29	1.50
23:00	539	ლიონი-პსჟ	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
		სამხრეთ ამერიკის თასი						
		25 ოქტომბერი						
23:45	556	სან ლორენსო-ტოლუკა	1.95	3.30	3.20	1.22	1.21	1.62
23:45	557	ატლეტიკო პრ-ნასიონალი მ	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		26 ოქტომბერი						
23:45	558	ხიმნასია ლპ-კოლო კოლო	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
		კალათბურთი						
		ევროლიგა						
		26 ოქტომბერი						
21:45	826	ბენეტონი-უალვირისი	1.30	12.00	3.10	1.17	1.00	2.46
22:00	827	მაკაბი-უნიკახა	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
22:45	828	ციბონა-ოლიმპია	1.30	12.00	3.10	1.17	1.00	2.46
21:15	830	ეფესი-პროკომი	1.20	12.00	4.00	1.09	1.00	3.00
22:30	831	ლე მანი-ბოლონია	2.30	12.00	1.50	1.93	1.00	1.33

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

ცინცაძემ რიტასი კინაღამ აჭირა

გიორგი ცინცაძემ ხელები გაშალა და ლიტვურ გრანდს 27 ქულა ჩაუგდო

ესტონურ „როკში“ გადასვლის შემდეგ გიორგი ცინცაძეს ყველაზე სერიოზული გამოცდა გუშინწინ ჰქონდა. თუ აქამდე ის საშუალო დონის გუნდებთან თამაშობდა და ყოჩაღობდა, ახლა მართლაც ბობოლა „ლიეტუვოს რიტასის“ წინააღმდეგ მოუწია გარჯამ და 27 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. ეს გიოს საუკეთესო თამაში გახლდათ „როკში“, თუმც სულ ცოტაც რომ გამართლებოდა, ქართველი გამთამაშებელი გაცილებით დიდ ყურადღებას მიიპყრობდა. ძირითადი დროის ბოლო წამზე ცინცაძემ დასანანი ბურთი ააცილა და ოვერტაიმში გადასული მატჩი 2 ქულით ლიტვურმა გრანდმა მოიგო. გუშინ გიოს ესტონეთში შევეხმიანეთ...

— საოცარი მატჩი გამოვიდა. თანაბარი თამაში მიდიოდა, მეც ყველაფერი გამომდიოდა და რომ წავაგეთ, ძალიან გულნატკენი ვარ. „როკის“ შეტევებს ძირითადად მე ვუძღვებოდი და გადამწყვეტ მომენტშიც მე ავიღე საკუთარ თავზე თამაში: ძირითადი დროის დასრულებამდე წამებით ადრე ფრე იყო, როცა შეტევა წამოვიწყე, მეტოქე ჩამოვიშორე და საშუალო დისტანციიდან სირენის თანხლებით ვესროლე. სამწუხაროდ, ამიცდა და თამაში ოვერტაიმში გადავიდა.

— ის ბურთი რომ ჩაგეგდო, რას ფიქრობ, რა მოხდებოდა?

— პირველ რიგში, „როკი“ ისტორიულ გამარჯვებას მოიპოვებდა „ლიეტუვოს რიტასთან“. არ ვიცი, რა იყო წარსულში, დაუმარცხებიათ თუ არა ტარტუელებს „რიტასი“, მაგრამ ამ ეტაპზე ეს გამარჯვება უდიდესი მიღწევა იქნებოდა.

— ოვერტაიმში შანსი არ გქონდათ?

— გქონდა, მაგრამ ისეთი არა, როგორიც ძირითად დროში. დამატებითი ხუთწუთეულის დასრულებამდე 4 წამით ადრე 5 ქულას ვაგებდით და ჩემი სამქულიანით ჩამორჩენა ორამდე შემცირდა. მერე ტაქტიკური ჯარიმა ავიღეთ და მეტოქემ ორივე სროლა ააცილა. 2 წამი გვრჩებოდა, მწვრთნელმა გვითხრა, ბურთი წინ ისროლეთ, ეგებ ჩვენიანს ჩაუვარდეს ხელშო, მაგრამ...

— ისე, ღირსეულად დამარცხებულხართ და ესეც რაღაცას ნიშნავს.

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ მოგვეგო, მაგრამ არც ამ თამაშით ვართ უკმაყოფილონი. ახლაც აზრზე ვერ მოვდივარ, როგორ ავაცილე ის ბურთი. „ლიეტუვოს რიტასმა“ გამართლებით მოიგო, რაც ჩვენს სიძლიერეზე მეტყველებს. ჩამოვთვალო რას მიაღწია ამ გუნდმა გასულ სეზონში? ბარსელონაში მოიგო, „მაკაბი“ დაამარცხა, ბალტიის ლიგაში იმარჯვა, ლიტვის ჩემპიონი გახდა — თან ისე, რომ ფინალურ სერიაში „ჟალგირისი“ 4:0 დაამარცხა. ის ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და ძალიან მიხარია, ჩემი ძალისხმევით „როკმა“ უდიდესი წინააღმდეგობა რომ გაუწია.

— თუ „რიტასი“ ძლიერია, წლევანდელ „ევროლიგაში“ რატომ არ თამაშობს?

— იმიტომ, რომ ევროლიგასთან მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა. „ლიეტუვოს რიტასმა“ შარშანწინ ულებ-ის თასი მოიგო, რამაც უფლება მისცა, რომ ერთი სეზონი ევროლიგაში ეთამაშა. წლეულს მოსკოვის „დინამოც“ ამავე პრინციპით მოხვდა ევროლიგაში. ამ სეზონში დინამოელები რუსეთის ჩემპიონებიც რომ გახდნენ, მომავალ ევროლიგაში მაინც ვეღარ ითამაშებენ.

— პირადად შენ „ლიეტუვოს რიტასის“ რომელი კალათბურთელის წინააღმდეგ მოგიწია თამაშმა?

— თავიდან გამთამაშებლად ლატვიის ნაკრების წევრი რობერტას შტელმახერსი იყო, რომელიც 15 წუთში შეცვალეს და მერე ჩემს წინააღმდეგ ამერიკელი ტონი აივორი თამაშობდა. თავის ქება კი გამომდის, მაგრამ ფაქტია და არ დავმალავ: ჩემს მეურვეებს ყველაფერში ვაჯობე. ეს სტატისტიკიდანაც კარგად ჩანს.

— ოქმში წერია, რომ არცთუ შედეგიანად ისროდი...

— ჰო, ბევრი სამქულიანი ავაცილე — 11 ცდიდან მხოლოდ 3 ჩავაგდე. სამაგიეროდ, საჯარიმოები და ორქულიანები ვისროლე უკეთესად. ოქმში 3 პასი მიწერია, მაგრამ 2-3 ნაღდი შედეგიანი გადაცემა არ ჩამითვალეს. 1 ჩაჭრა მიწერია, სინამდვილეში კი მინიმუმ 4 ჩავჭერი. ეს წვრილმანებია და ამაზე ლაპარაკი არც ღირს — მთავარია, რომ კარგად ვითამაშე.

— გუნდის ხელმძღვანელები შენით კმაყოფილები იქნებიან...

— რა თქმა უნდა, კმაყოფილები არიან. დიდ ნდობას მიცხადებენ, 35 წუთზე ნაკლებს თითქმის არასდროს ვთამაშობ.

— ქომაგებსაც შეიძენდი...

— ტარტუ პატარა ქალაქია და აქ ყველას გამორჩეულად უყვარს კალათბურთი. შესაბამისად, მოთამაშეებსაც პატივს სცემენ და გულშემატკივრები მეც მყავს. ქუჩაში მცნობენ და ხშირად ყოფილა, რომ ავტოგრაფი უთხოვიათ. პრესიდან კი თითქმის ყოველდღე მეხმარებიან — ჟურნალ-გაზეთებში ხშირადაა ჩემი ინტერვიუები.

— შენ კარგად თამაშობ, მაგრამ „როკი“ რომ აგებს?

— ეგ მართლაც ცუდი ამბავია, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა ამის გამო პრობლემებს არ გვიქმნის. ხედავენ, რომ „როკს“ პოტენცია გააჩნია და ცოტა ხანში ალბათ ტიტულებისთვისაც ვიბრძოლებთ. ბალტიის ლიგაში საქმე ცუდად გვაქვს, მაგრამ პლეი ოფში გასვლის შანსი კიდევ დაგვრჩა და ჩვენც ამისთვის ვიბრძოლებთ.

— ჯერ საკმაოდ ადრეა, მაგრამ მომავალზე ხომ არ გიფიქრია?

— ახლა საუკეთესო სეზონი მაქვს, ბევრს ვთამაშობ და შედეგიანად. თუ ასე გავაგრძელებ, გაცილებით კარგი გუნდის ვარიანტიც გამომიჩნდება. „როკთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს და თუ ეს ტემპი შევინარჩუნე, მომავალ სეზონს ალბათ უფრო სოლიდური გუნდში შევხდები.

ირაკლი პერტაია

ზურაბ ზვიადაური ტატამს უბრუნდება

ევროტატამი: ათენის გმირები და ახლები

ამაღამ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მიუნხენის გავლით ბელგრადში გაფრინდება. შაბათს სერბეთი ევროპის გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს და მასში შოთა ხაბარელის გუნდის გარდა საფრანგეთის, რუსეთის, სერბეთის, ისრაელის, ბრიტანეთისა და ბელარუსის ნაკრებები ჩაერთვებიან. წინასწარ განაცხადში შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი უნგრეთი და გერმანიაც შეიყვანეს, მაგრამ ამათ უარი შეუთვლიათ და მათი ადგილები ბელარუსსა და ჰოლანდიას ერგოთ. რვეული მაინც ვერ შედგა, რადგან ბელგრადში ჩასვლას არც ჰოლანდიელები აპირებენ.

„ერთხანს ჩვენც დავფიქრდით, მიგვეღო თუ არა ტურნირში მონაწილეობა. ნაკრების ძირითადი ბირთვი მომქანცველი სეზონის შემდეგ ძალიან გადაიღალა და მათი კიდევ დატვირთვა მიზანშეწონილად აღარ ჩავთვალეთ — გვითხრა გუშინ *შოთა ხაბარელმა* — ბოლოს გადავწყვიტეთ, შანსი ახალგაზრდებისთვის მიგვეცა. სერბეთში გადახალისებული შემადგენლობა მიგვყავს და აქედან გამომდინარე, ოქროსთვის ბრძოლაც გაგვიჭირდება, მაგრამ ამ ეტაპზე შედეგზე მნიშვნელოვანი ის გამოცდილებაა, რომელსაც ბიჭები მიიღებენ“.

ნაკრების თავკაცის მიერ დასახელებულ შემადგენლობას მოლად გამოუცდელიც არ ეთქმის. ახალგაზრდების გვერდით ბელგრადულ ტატამზე ზურაბ ზვიადაური, ნესტორ ხერგიანი და გიორგი ყიზილაშვილიც იჭიდავებენ. ზვიადაური და ყიზილაშვილი თავიანთ წონებში გამოვლენ, ხერგიანი კი ერთი წონით მაღლა — 66 კილოგრამში.

საქართველოს ნაკრების პირველ მეტოქეს კენჭისყრა ტურნირის წინა დღეს გაარკვევს.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველო

60 კგ	ვახტანგ ხოსიტაშვილი
66 კგ	ნესტორ ხერგიანი
73 კგ	მინდია ხომიზური
81 კგ	გიორგი ბაინდურაშვილი
90 კგ	ზურაბ ზვიადაური
100 კგ	გიორგი ყიზილაშვილი
	ლომერ ჟორჟოლიანი
+100 კგ	ადამ ოქრუაშვილი

ხუთწუთიანი და უქულო იქნებ აიზიამ უნახავი დაინახოს

საგამოფენო მატჩი

24 ოქტომბერი

ნიუ იორკი 113:102 ფილადელფია

ნიუ იორკი: ფრენსისი (13), კროუფორდი (19), როუზი, ფრაი (4), კარი (10); რობინსონი (19), რიჩარდსონი (12), კოლინზი (11), ლი (9), ბალკმანი (6), კლარკი (5), ბრაუნი (3), მილერი (2), ცქიტიშვილი (5 წუთი, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)

„ნიუ იორკის“ მაისურით თავისი მესამე საგამოფენო მატჩი ითამაშა ჩვენებურმა ნიკა ცქიტიშვილმა, თუკი მოედანზე 5 წუთით უქულოდ ყოფნას შეიძლება თამაში დაერქვას. „ნიქსის“ ახალი თავკაცი აიზია ტომასი საგამოფენო მატჩებს გაფართოებული შემადგენლობით ატარებს. ახლაც „ფილადელფიასთან“ 14 კაცი ათამაშა და, ბუნებრივია, ყველას იმდენი სათამაშო დრო არ შეხვდა, რამდენიც სურდა, თუმც ამ მოსამზადებელი შეხვედრების მიხედვით აიზია ცქიტიშვილზე დიდ გეგმებს არ უნდა აწყობდეს. დღევანდელი გადასახედიდან სათუოა ნიკას 12-კაციან განაცხადში ყოფნა. თუმც მოვიცადოთ და ვნახოთ, იქნებ აიზიამაც დაინახოს 216-სანტიმეტრიან ქართველში ის, რასაც რამდენიმე წლის წინ ხედავდნენ ამერიკელი საკალათბურო სპეციალისტები და რაც ასე მოსწონდათ და იზიდავდათ.

აიზია ტომასი

საზოგადოდ კი ეს თამაში „ნიუ იორკმა“ დამაჯერებლად მოიგო. „ფილადეფიას“ ალენ აივერსონი აკლდა და ნიუორკელთა უკანა ხაზმაც გაილაღა — მაღალმა (193 სმ) სტივ ფრენსისმა და დაბალმა (165 სმ) ნეიტ რობინსონმა 19-19 ქულა მოიხვეჭეს. „ფილადელფიაში“ 17-17 ქულით გამოირჩნენ კრის ვებერი და კაილი კორვერი.

ძოტე ყორშია



ბედის საჩუქარი

საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე წრეში ლუქსემბურგელ ანი კრემერთან მარცხის მიუხედავად, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი მაინც მოხვდა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავის ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 75 ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში — ერთ-ერთმა ჩოგბურთელმა რაღაც მიზეზის გამო თამაში ვერ შეძლო და მის ნაცვლად ძირითად ბადეში სწორედ ჩახნაშვილი დაუშვეს, როგორც საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე წრეში წაგებულთაგან ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე.

მაკამ ბედის ეს მოულოდნელი საჩუქარი მშვენივრად შეიფერა და პირველ წრეში 6:2 6:2 გადაუარა 24 წლის ჩეხ კლარა ზაკოპალოვას, ვინც მიმდინარე კლასიფიკაციაში 116 ადგილზე კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ მარტში 27-ე იყო.

მეორე წრეში ჩახნაშვილის მეტოქე 25 წლისა და WTA-ს კლასიფიკაციაში მაკაზე ოდნავ წინ, 144-ე ადგილზე მყოფი გერმანელი კრისტინა ბაროიში იქნება, რომელმაც სენსაცია მოახდინა და პირველ ნომრად განთესილ ჩეხ ლუსი საფაროვას 3:6 6:1 6:3 მოუგო.

ოკეანის გაღმა, ამერიკული აუგუსტას ჰარდზე კი 25 ათასიანი ტურნირი ტარდება და პირველ წრეში ჩვენი სოფო მელიქიშვილი 20 წლის ამერიკელს, კლასიფიკაციაში 675-ე ადგილზე მყოფ ლინდსი ნელსონს შეხვდება. აქ გამარჯვების შემთხვევაში სოფოს მეორე მეტოქე ან რუსი ეკატერინა აფინოგენოვა იქნება, ანაც ავსტრალიელი მონიკა ადამჩაკი.

ფოტო ინტერნეტიდან

ქალები
ლინცი. ავსტრია
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

პირველი წრე

ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1 6:2; **ანა ივანოვიჩი** (5, სერბეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:1 7:6; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ტამირა პაფეკი (ავსტრია) 2:6 6:3 6:1; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 7:6 7:6; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (8, იტალია) 5:7 6:1 6:3; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — ალონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:4 1:6 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (7, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:5 6:2

მეორე წრე

ნადია პეტროვა (2, რუსეთი) — შაჰარ პირი (ისრაელი) 6:1 6:1

კაცები
სანქტ-პეტერბურგი. რუსეთი
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 1 000 000 $

პირველი წრე

ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3 6:1; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 6:0 6:7 6:3; **მიხაილ იუჟნი** (7, რუსეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 6:4; **რაემონ სლუტერი** (ჰოლანდია) — ლუკაშ კუბოტი (პოლონეთი) 6:4 3:6 6:3

მეორე წრე

პოტიტო სტარაჩე (იტალია) — იარკო ნიემინენი (5, ფინეთი) 7:5 6:2

კაცები
ლიონი. საფრანგეთი
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 800 000 $

პირველი წრე

არნო კლემანი (საფრანგეთი) — მარკოს ბაღდატისი (1, კვიპროსი) 6:2 5:7 6:3; **მიქაელ ლოდრა** (საფრანგეთი) — მიხალ მერტინაკი (სლოვაკეთი) 4:6 7:6 6:2; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4 7:6; **ძსავიე მალისი** (7, ბელგია) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:3 4:6 6:1; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ჟულიენ მატიო (საფრანგეთი) 7:5 6:4

კაცები
ბაზელი. შვეიცარია
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 1 000 000 $

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:1 6:2; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — მარკო ჩიუდინელი (შვეიცარია) 6:7 6:3 6:4; **პარადონ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 7:6 7:6; **ხოსე აკასუსო** (7, არგენტინა) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 6:4 6:3; **გეორგ გასტლი** (შვეიცარია) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:1 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:4 6:3

ფედერერული ბაზელქალაქობა

ოთანაც, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფედერერს ბაზელში არასოდეს უმარჯვია. ბოლო ორი წელი კი საერთოდ ტრავმების გამო ვერ შეძლო საკუთარი მაყურებლის წინაშე თამაში. თუმც ამ ვითარების გამოსწორებას შვეიცარიელი ახლა ეცდება — ამისკენ პირველი ნაბიჯიც გადადგა, როცა ზიბს ჩოგბურთის მასტერ-კლასი ჩაუტარა და მაყურებელიც მაგრად ასიამოვნა. აგვისტოდან მოყოლებული, ფედერერი დაუმარცხებელია და მოგებების სერიამ უკვე 20 მატჩს უწია.

ბაზელის კორტებზე მეტი საინტერესო აღარაფერი მომხდარა. ერთი ეგაა, რომ შვეიცარიას ტრავმის გამო ენდი მიურეი დაემშვიდობა.

გუშინდელი დღე ყველაზე ბედნიერი ივან ლიუბიჩიჩისა და ენდი როდიკსთვის გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ არ უთამაშიათ — საქმე იმაშია, რომ ორივემ დე იურე გაინაღდა ადგილები წლის შემაჯამებელ ტურნირზე. ეს კი მას მერე გახდა შესაძლებელი, რაც მარკოს ბაღდატისმა ლიონში არნო კლემანთან პირველივე წრეში წააგო და ამით თავის საშანხაე შანსებს ალბათ საბოლოოდ გადაუსვა ხაზი.

სამაგიეროდ, ჩინეთს კიდევ უფრო მეტად მიუახლოვდა ნიკოლაი დავიდენკო, რომელსაც ამ კვირაშივე შეუძლია, ლიუბიჩიჩსა და როდიკს შეუერთდეს — ამისთვის რუსს სანკტ პეტერბურგის ფინალში გასვლა ესაჭიროება.

მოიგო კიდევ ერთმა რუსმა — მიხაილ იუჟნის არცთუ დიდი წვალება დასჭრიდა რაინერ შუტლერის დასამარცხებლად. მოსკოველს წინ პეტერბურგის შარშანდელი ტრიუმფატორ, ტომას იოჰანსონთან ელის დაპირისპირება. თვითონ შვედმა კი გვარიანად იწვალა ფრენკ დანსევიჩთან.

პეტერბურგში პირველი მეოთხედფინალისტის ვინაობაც გაირკვა — პოტიტო სტარაჩემ მოულოდნელად დაამარცხა ტურნირის მეხუთე ნომერი იარკო ნიემინენი.

ლინცში გუშინ ბლომად დაძაბული და უკოპრომისო მატჩი გაიმართა. მთავარი სენსაციით დავიწყოთ — ვერა ზვონარიოვას თავიდან არაფერი გამოსდიოდა ფრანჩესკა სკიავონესთან, მაგრამ მომდევნო ორ სეტში სასტიკად გადაურა და მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო.

ორ საათზე მეტ ხანს ჭიდაობდნენ მარი პირსი და აი სუგიამა. საქმე ორივე სეტში ტაიბრეიკამდე მივიდა, რომლებშიც წარმატება გამოცდილ ფრანგს ხვდა და ავსტრიაშიც ის გაგრძელებს ჩოგნის ქნევას.

მარკოს ბაღდატისი

კარგად დაიწყო კრემლის თასის ტრიუმფატორმა ანა ჩაკვეტაძემაც, რომელმაც კატერინა სრებოტნიკს ორ სეტში გამოუყვანა წირვა. ნადია პეტროვა კი უკვე მეოთხედფინალშია — მას შაჰარ პირის დასამარცხებლად 45 წუთიც ეყო.

კახა ლომაშვილი

ფავორიტებს მეტი ხვდებათ


კელვინ ბროკი

11 ნოემბერს საერთაშორისო კრივის ფედერაციის (IBF) ვერიით, მსოფლიოს ჩემპიონის ქამრისთვის ერთმანეთს უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო და ამერიკელი კელვინ ბროკი დაეჯახებიან. მცოდნენი ფავორიტად, ცხადია, კლიჩკოს ასახელებენ და არა ნაკლებად ცნობილ ბროკს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს საკარიერო ბალანსს ერთი წაგებაც არ უფუჭებს.

სათქმელია, რომ თავად ბროკიც კლიჩკოს ანიჭებს ფავორიტის სტატუსს და, როგორც ამბობს, ამ ბრძოლაში სწორედ ამის იმედი აქვს. ცოტა უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ ჯობს, თავად მოკრივეს მოვუსმინოთ: „ვლადიმერი ამ ბრძოლაში ფავორიტია, მაგრამ ეს ფაქტორი ჩემთვის არაფერს ნიშნავს — ამბობს ბროკი — მე ბევრი ისეთი ბრძოლა ჩამიტარებია, რომელშიც ფავორიტად ჩემი მეტოქე იყო შერაცხული და მისი წარმატება არავითარ ეჭვს არ ბადებდა, მაგრამ საბოლოოდ არავის ეპარებოდა, მაგრამ „მხიარული როჯერის“ იქ თამაში, სადაც თავის დროზე ბურთების მიმწოდებელი იყო, მაინც დიდ ინტერესს იწვევდა.

11 ნოემბერს საერთაშორისო კრივის ფედერაციის (IBF) ვერიით, მსოფლიოს ჩემპიონის ქამრისთვის ერთმანეთს უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო და ამერიკელი კელვინ ბროკი დაეჯახებიან. მცოდნენი ფავორიტად, ცხადია, კლიჩკოს ასახელებენ და არა ნაკლებად ცნობილ ბროკს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს საკარიერო ბალანსს ერთი წაგებაც არ უფუჭებს.

სათქმელია, რომ თავად ბროკიც კლიჩკოს ანიჭებს ფავორიტის სტატუსს და, როგორც ამბობს, ამ ბრძოლაში სწორედ ამის იმედი აქვს. ცოტა უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ ჯობს, თავად მოკრივეს მოვუსმინოთ: „ვლადიმერი ამ ბრძოლაში ფავორიტია, მაგრამ ეს ფაქტორი ჩემთვის არაფერს ნიშნავს — ამბობს ბროკი — მე ბევრი ისეთი ბრძოლა ჩამიტარებია, რომელშიც ფავორიტად ჩემი მეტოქე იყო შერაცხული და მისი წარმატება არავითარ ეჭვს არ ბადებდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მე მრჩებოდა. ეს ჩემი აზრი კი არ არის, არამედ ფაქტია, რომ იმ მოკრივეთა დიდი ნაწილი, რომლებიც რინგზე ფავორიტის რანგში გადიან, საბოლოოდ მარცხდებიან. რომელი ერთი დავასახელო — მუჰამედ ალი, ევანდერ ჰოლიფილდი... საკმარისია? ფავორიტობის სტატუსი ბევრს არაფერს ნიშნავს, მხოლოდ ნისლია. პირიქით უარყოფითადაც მოქმედებს სპორტსმენზე. ჩვენთან, კრივში მიღებულია წყვილში პირობითი ხაზის გავლება და „ძლიერის“ და „სუსტის“ იარლიყის მიკერება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „სუსტს“ გამარჯვების შანსი არ აქვს“.

მოკლედ, ბროკი იმედიანადაა და პსე ხმამაღლა საუბრობს. ამასთან მას იმედი აქვს, რომ ორმეტრიანი უკრაინელი გოლიათის ტორებისგან სტატისტიკაც იხსნის, ბროკი ხომ ჯერ არ დამარცხებულა, აქამდე ჩატარებული ყველა ბრძოლა მოიგო.

კოტე ყორღია



ტუას კაცი გაექცა

უპოპულარულესი ახალზელანდიელი მძიმეწონისანი დეკიდ ტუა შეთანხმებისამებრ 3 ნოემბერს ბრძოლას გამართავს, ოღონდ ეგაა, კელვინ დევისის ნაცვლად როს პიურიტის შეერკინება. დევისმა გაურკვეველ მიზეზთა გამო ტუასთან ჩხუბზე უარი განაცხადა და მორგვივით ახალზელანდიელს ხელში 40 წლის პიურიტი შერჩა. ჭარმაგი კი გახლავთ, მაგრამ ეს პიურიტი მაინც საკმაოდ ცნობილი მოკრივეა, ხანგრძლივ კარიერაში ბევრი სახელიანი მოწინააღმდეგისთვისაც მოუქცევია ყბა. ერთ-ერთი ასეთი ფედერაციის ვერსიით მოქმედი ჩემპიონი ვლადიმერ კლიჩკოა. რამდენიმე წლის წინ, როცა ის პიურიტს შეხვდა, დაუმარცხებელი გახლდათ და პირველი წაგება სწორედ მისგან იგემა.



ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲣᲚᲘᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲐᲠᲡᲔᲜ ᲙᲐᲡᲐᲑᲘᲔᲕᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲘᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲡ

ᲡᲐᲛᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲔᲚᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ძალოსანთა ნაკრების ახალგაზრდა ლიდერი და ოლიმპიური იმედი არსენ კასაბიევი რომ საოპერაციოა, გასულ კვირას ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა გვაცნობა. კასაბიევს წელის ტრავმის გამო ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატი გაუცდა და ამ ეტაპზე მომავალ შემოდგომაზე ჩასატარებელ მსოფლიოზე გამოსვლაც საეჭვოა.

გუშინ გრიქუროვისგანვე შევიტყვეთ, რომ არსენი ოპერაციას პოლონეთში გაიკეთებს. „რამდენიმე ძლიერი. სპეციალისტის ვარიანტს განვიხილავდით და ბოლოს არჩევანი იმ პოლონელ ექიმზე შევაჩერეთ, რომელმაც ანალოგიური ოპერაციით იქაური ვარსკვლავი შიმონ კოლეცკი გამოაჯანმრთელა — გვითხრა ნაკრების თავკაცმა — კასაბიევი უკვე გაემგზავრა პოლონეთში. 3-4 დღეში მეც ჩავალ, არსენი კიდევ ერთ კონსულტაციას გაივლის და კონკრეტულ პასუხს თავად პროფესორისგან შევიტყობთ. ტრავმა რომ მძიმეა, თქმაც არ უნდა, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ. ეგებ ოპერაციას როგორმე ავცდეთ.“

ძალოსანთა ნაკრებს დომინიკის რუსპუბლიკაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უმსუბუქესი წევრი ზვიად სამუკაშვილიც გამოაკლდა. მას მხრის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ფიქრობდნენ, რომ მის გამოსაჯანმრთელებლად თერაპიული მკურნალობაც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ გამორიცხული არაა, ზვიდსაც ქირურგიული ჩარევა დასჭირდეს. „ჯერ საბოლოო პასუხს ვერავინ იტყვის. სამუკაშვილის შემთხვევაში აჩქარება არ გვარგებს. ცოტას მოვიცდით და გამოჩნდება, ოპერაცია დასჭირდება თუ არა. ამ ეტაპზე სამწუხაროდ არც თუ დამაიმედებელი სიტუაციაა“ — დასძინა გრიქუროვმა.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲨᲔᲘᲮᲛᲐ ᲑᲐᲠᲝᲜᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ

ᲓᲘᲐᲓᲘ მრბოლი მიხაელ შუმახერი ფორმულა 1-ს გამოეთხოვა და ამ ამბის აღსანიშნავად მეგობრებმა და ქომაგებმა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, ლამის არის, საჩუქრების ზღვაში დაახრჩონ.

ბოლო დღეებში „წითელმა ბარონმა“ უამრავი საჩუქარი მიიღო, რომეთაგან ორი განსაკუთრებით ძვირფასი აღმოჩნდა.

როგორც გერმანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ამ, მართლაც რომ უძვირფასესი საჩუქრების ავტორები მიხაელის გუნდი „ფერარი“ და გერმანელი პილოტის ტალანტის თაყვანისმცემელი, დუბაის შეიხი მოჰამედ ბინ რაში ალ მაქთუმა არიან.



AFP

მიხაელ შუმახერი ამ ბოლიდს ეზოში დაიყენებს

იტალიელებმა შუმახერს მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისა და „სკუდერიასთვის“ მოპოვებული უამრავი გამარჯვების სანაცვლოდ „ფერერის“ ბოლო ბოლიდი — 248F1 აჩუქეს, სწორედ ის, რომლითაც „წითელმა ბარონმა“ ბრაზილიაში თავისი ბოლო რბოლა ჩაატარა. მანქანის ფასი დაახლოებით 3 მილიონი ევროა და მიხაელმა გადაწყვიტა, რომ ბოლიდი მშობლიურ ქალაქ კერპენში, თავის პირად მუზეუმში დააყენოს.

აი, არაბი შეიხის საჩუქარი კი მუზეუმში ნამდვილად ვერ განთავსდება — დუბაის თავმა მიხაელს საკუთარი ქალაქის სიახლოვეს, ზღვაში მდებარე პატარა კუნძული უძღვნა. „ბილდ-ცაიტუნგი“ შუმახერის მენეჯერის, ვილი ვებერის სიტყვებზე დაყრდნობით წერს, რომ შუმახერების ოჯახი ამ კუნძულს დასასვენებლად გამოიყენებს და არ არის გამორიცხული, მიხაელმა იქ საკუთარი კარტინგის სარბოლო ტრასაც კი ააგოს.

საინტერესოა, რომ კუნძული ხელოვნურია — ფულში მცურავმა შეიხებმა დუბაის სიახლოვეს დაახლოებით სამასამდე ასეთი კუნძული ააგეს, რომელთა ფართობი ორიდან ათ ჰექტრამდე მერყეობს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კუნძული აჩუქა დუბაის შეიხმა „წითელ ბარონს“ და ამ საჩუქრის ფასი, დაახლოებით 4,5 მილიონი ევროა.

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲛᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ

ᲝᲓᲔᲡᲚᲐᲪ პიტსბურგში მარიო ლემიე, იარომირ იაგრი და რონ ფრენსისი ბრწყინავდნენ და მათი, პირველ რიგში კი, რაღა თქმა უნდა, „სუპერმარიოს“ ძალისხმევით „პინგვინებმა“ ორჯერ მოიპოვეს სტენლის თასი.

ახლა პიტსბურგში 18 წლის ჯორდი სტაალი, 19 წლის სიდნი კროსბი, 20 წლის ევგენი მალკინი და 22 წლის მარკ-ანდრე ფლერი თამაშობენ. ყველა ესენი ბოლო წლების დრაფტების პირველი ან მეორე ნომრები არიან და პიტსბურგში იმედოვნებენ, რომ ახალი თაობის ვარსკვლავები გუნდს ძველ დიდებას დაუბრუნებენ.

კროსბიმ თავის პირველივე, ანუ შარშანდელ სეზონში 100-ქულიან მიჯნას უწია და წელს კი მის ანგარიშზე 8 თამაშის შემდეგ 12 (3+9) ქულაა; მალკინმა ლიგაში ჩატარებულ მეოთხე მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა; სტაალების საგვარეულოს უმცროსმა წარმომადგენელმაც უმალ დაიწყო გოლების გატანა და ფლერიც ნელ-ნელა ამართლებს ადრე გაცემულ ავანსებს — უაღრესად საიმედო გოლკიპერად ყალიბდება.

სამშაბათს „პინგვინებმა“ ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, „ნიუ ჯერსი დევილზს“ მოუგეს. კროსბიმ, სტაალმა და მალკინმა გოლები გაიტანეს, ხოლო ფლერიმ უშუალო დუელში ისეთ დიდოსტატს ავჯობა, მარტინ ბროდო რომ არის.

„პიტსბურგისა“ და მისი ჭაბუკი ვარსკვლავების წარმატებული თამაში წლევანდელი სეზონის სტარტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ამბავია. ბუნებრივია, რომ ჯერაც დაუღვინებელი „პინგვინები“ მარათონული რეგულარული ჩემპიონატის ყველა მატჩს ასე მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებენ, მაგრამ ორ-სამ წელში ეს გუნდი ყველასთვის მრისხანე ძალად იქცევა.

ჯერჯერობით კი ჩემპიონატის თავში ქულადაუკარგავად მავალი ბუფალოა და გასული კვირის მთავარ ვარსკვლავად, სწორედ „ხმლების“ რუსი ლეგიონერი მაქსიმ აფინოგენოვი დაასახელეს, რომელმაც სამ მატჩში 10 (3+7) ქულას მოუყარა თავი.

ვარსკვლავთა პირველ სამეულში აფინოგენოვის გარდა სამიდან სამი თამაშის მომგები, „ანაჰაიმის“ გოლკიპერი ჟენ-სებასტიან ჟიგერი და მონრეალელი მცველი შელდონ სურეი დაასახელეს. ამ უკანასკნელმა გასული კვირა 7 (4+3) ქულით დაასრულა.



AFP ᲛᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ

მარტინ ბროდო ჯორდი სტაალმაც დაამწუხრა

25 ოქტომბერი

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 4:2 ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ

1:1 2:0 1:1

0:1 გომესი (8), 1:1 ეკმანი (14), 2:1 კროსბი (22), 3:1 სტაალი (25), 3:2 ბრილინი (49), 4:2 მალკინი (51)

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 2:6 ᲝᲢᲐᲕᲐ

*0:3 1:2 1:1**

0:1 ფიშერი (3), 0:2 მესაროში (15), 0:3 ივზი (20), 0:4 ვერმე (24), 0:5 ჰითლი (28), 1:5 სტეიჯანი (29), 2:5 სუნდინი (42), 2:6 ნიო (45)

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 6:1 ᲤᲘᲜᲘᲫᲡᲘ

2:1 1:0 3:0

1:0 კობასევი (15), 2:0 ჰუსელიუსი (16), 2:1 ნოლანი (18), 3:1 ამონტი (27), 4:1 იჯინლა (44), 5:1 ნილსონი (48), 6:1 ჰარმლიკი (53)

ᲒᲐᲛᲝᲚᲕᲘᲫᲔᲑᲣᲚ ᲢᲝᲞᲐᲚᲝᲕᲡ ᲞᲐᲘᲙᲘ ᲒᲐᲔᲥᲪᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ექსჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი ჰოლანდიურ ჰუუგევენში პიმდინარე ესენტის სუპერტურნირზე წარუმატებლად ასპარეზობს და მისთვის შეუფერებელ ბოლო ადგილს ხეხავს.

შავი ფიგურებით ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ტოპალოვმა თითქოს გამოიღვიძა და მესამე ტურში თეთრებით ყაიმი ითამაშა. მან რუს ივან სოკოლოვთან გაიყო ქულა.

ბულგარელმა მეტოქესთან თავისი საყვარელი სლავური დაცვა გაითამაშა. სოკოლოვმა თავიდანვე იერიშებს მიმართა, ცენტრში ლაზიერი გამოუშვა და თეთრებს დაარტყა. მოჭადრაკეებმა გაცვლებს მიმართეს, ტოპალოვმა ხელმწიფის ფლანგზე დაქოქა ძალები, შავებს მიაწვა და უპირატესობას დაეუფლა. ორივემ პაიკების გაყვანაზე დაიწყო ზრუნვა. ტოპალოვმა კიდევ უფრო განავითარა ფიგურები და ახლოსაც იყო მოგებასთან, თუმც 55-ე სვლაზე შავი პაიკი ჩასათვლელ ხაზამდე გაექცა და ექვსიოდე სვლაში იძულებული გახდა, ზავს დათანხმებოდა.

მე-40 სვლაზე ყაიმით დასრულდა აზერბაიჯანელ შაჰრიარ მამედიაროვისა და უნგრელი იუდიტ პოლგარის შეხვედრაც. ისინი 2,5-2,5 ქულით კვლავაც ცხრილის თავში დარჩნენ.

ᲚᲣᲜᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

საქა — კრისტინე სანტანა და რთველო — ანდრესა მარტინსი

გეორ-გიას საქა-რთველო შეუნყვილდა

მექსიკაში, ეგზოტიკურ აკაპულკოში, საპლაჟო ფრენბურთში წლევანდელი მსოფლიო სერიის ბოლოსწინა ეტაპი მიმდინარეობს.

ქართულმა წყვილმა, რენატომ და ჟორჟამ, იგივე გეორ-გიამ, აკუპულკოური ფრენბურთობა საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყეს. კვალიფიკაციის პირველი წრიდან ჩვენები თავისუფლები იყვნენ, რაკი რეიტინგი ამის საშუალებას აძლევდათ. მეორე წრეში კი გეორ და გიამ სულ რაღაც 40 წუთში 2:0 (21:13, 21:13) დაამარცხეს სლოვაკები რადო და რუსეკი და ახლა ერთი მოგებაღა აკლიათ ძირითად ბადეში რომ მოხვდნენ.

აკაპულკოშივე ითამაშებენ ქართულპასპორტიანი ბრაზილიელი ქალებიც — ანდრესა მარტინსი და კრისტინე სანტანა. გოგონათა ჩვენი წყვილიც ტურნირს საკვალიფიკაციო ბადით იწყებს. გეორ და გიასი არ იყოს, ესენიც ქართული მეტსახელებით ითამაშებენ. კრისტინა „საქა“, ხოლო ანდრესა „რთველოდ“ მოინათლა.

ბაჩო სვანიძე

ბერიპაცმა სპორტული შეინარჩუნა



ოქტომბრის ბოლო დღეს ტოკიოში დასაწყებ ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატამდე იაპონიის დედაქალაქში ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის (ფივბ) კონგრესი გაიმართა. იქვე ჩატარდა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც კვლავ კენჭს იყრიდა მისი ძველი მფლობელი, მექსიკელი რუბენ აკოსტა. მიუხედავად იმისა, რომ რუბენ აკოსტა 72 წლის მოყრილა, კენჭისყრისას მას ერთი ოპოზიციონერიც კი არ გამოუჩნდა. აკოსტას ფორუმში მონაწილე 196-ივე ეროვნული ფედერაციის მეთაურმა მისცა ხმა და ამ მექსიკელს კიდევ ოთხი წლით გაუხანგრძლივეს პრეზიდენტობა.

ჭიდაობა

რუსის ოქრო დოპინგმა დალია

რუსეთის ჭიდაობის ფედერაციამ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიშელ დიუსონის ხელმოწერელი გულგასახეთქი ფაქსი მიიღო. მასში ნათქვამია, რომ იაკუტელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ვიქტორ ლებედევი (50კგ), რომელმაც წლევანდელ იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა, დოპინგის მიღებაშია მხილებული და მან ჯილდო უნდა დააბრუნოს.

აღმოჩნდა, რომ ამ იაკუტიელ მოჭიდავეს წარმატება ჩინური წარმოების ბოლდენონის დახმარებით მოუპოვებია, რომელიც ვეტერინარული ანაბოლური საშუალებაა, მის ანალოგიურ რუსულ პრეპარატს კი ეკვიპოზი ჰქვია.

როგორც „რუსეთის ანტიდოპინგური ცენტრის“ საგმართველოს დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი გრიგორ როდჩენკოვი ამბობს, ეს პრეპარატი „ძალზე ძლიერი, კარგად ცნობილი და ანალიზებში იოლად აღმოსაჩენია, მით უმეტეს, თანამედროვე და კარგად აღჭურვილ ლაბორატორიებში.“

ასეა თუ ისე, ოქროს მედალი და მსოფლიოს ჩემპიონის სახელი თურქ აპმედ პეკერს გადაეცემა.

მთის თხილამურობა

წვიმამ პრემიერა გაალღო

თეთრი ცირკი ორი კვირით გვიან დაიწყება

ამ უქმეებზე ავსტრიულ ზოლდენში 2006-07 წლების მსოფლიოს თასის გათამაშება უნდა დაწყებულიყო მთის მოთხილამურეთა შორის, მაგრამ სეზონის სტარტი ორი კვირით გადაიდო და „თეთრი ცირკი“ პირველ წარმოდგენას 11-12 ნოემბერს ფინურ ლეკიში გამართავს.

მიზეზი ბანალურია — ზოლდენში რამდენიმე დღეა გადაუდებლად წვიმს, თანაც დათბა და ავსტრიის ალპებში თოვლის საფარმა დნობა დაიწყო.

ზოლდენში კაცთა და ქალთა გიგანტური სლალომი უნდა გამართულიყო და ამ წუთისთვის ძნელი სათქმელია, როდის გაიმართება გამოტოვებული ეტაპი.

ასე რომ, გიგანტური სლალომის ნაცვლად ახალი სეზონი სლალომით დაიწყება — ფინეთში სამთო მოთხილამურეები სწორედ ამ სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

იტალია

სერია A. VIII ტური
რომა 2:2 ასკოლი
ატალანტა 3:3 კალიარი
კიევო 0:1 მილანი
ემპოლი 1:1 უდინეზე
ინტერი 4:1 ლივორნო
პალერმო 2:1 მესინა
რეჯინა 3:2 პარმა
სამპდორია 2:0 ლაციო
სიენა 1:1 კატანია
ტორინო 0:1 ფიორენტინა

ჰოლანდია

ერედივიზიონი. IX ტური
გრონინგენი 2:1 ექსელსიორი
ჰერაკლესი 1:1 ვალვაიკი
ნაიმეგენი 0:0 როდა
პსვ 7:0 სპარტა
აიაქსი 2:0 დენ ჰააგი

რუსეთი

პრემიერლიგა. XXV ტური
ლუჩ-ენერგია 2:1 ტომი
როსტოვი 1:1 ამკარი
კრილია 0:0 სატურნი
ცსკა 2:1 მოსკვა
ლოკომოტივი 0:0 ტორპედო
რუბინი 3:0 ზენიტი
სპარტაკი (მ) 3:2 დინამო

დანია

სუპერლიგა. XIV ტური
ბრონდბიუ 1:2 ოლბორგი
ჰორსენსი 1:1 ესბიერგი
ნორდსიელანდი 1:4 ვიდბიულანდი
რანდერსი 0:1 ვაილე
სილკებორგი 1:2 ვიბორგი
ოდენსე 0:0 კოპენჰაგენი
I დივიზიონი. XII ტური
ჰერფიოლგე 5:0 ორჰუსი

შვედეთი

ალსვენსკა. XXIV ტური
იორგრიტე 1:1 იუტგოროდენი
იოსტერსი 2:1 მალმიო

გერმანია

თასის 1/16 ფინალი
ალემანია 4:2დ.დ. (2:2) აუე
დუისბურგი 3:2დ.დ. (2:2) ლევერკუზენი
ოსნაბრიუკი 2:1 მიონხენგლადბახი
პადერბორნი 1:2დ.დ.(1:1) ნიურნბერგი
ესენი 1:2 აინტრახტი
ფულენდორფი 0:2 ოფენბახი
კიკერსი — ჰერტა 0:2-ზე ჩაიშალა
ბაიერნი 1:0 კაიზერსლაუტერნი

შკრაინა

თასის 1/8 ფინალი
დნეპროპეტროვსკი 5:4პენ. (1:1) სტალი
ტიტანი 0:2 დნიპრო
ბორისფენი 0:2 შახტარი
ლვოვი 6:7პენ. (2:2) მეტალისტი
კრიმეტეპლიცა 1:2 ტავრია
სევასტოპოლი 4:1 მეტალურგი (დ)
ზარკოვი 0:2 დინამო
კრივბასი 0:2 ილიჩევეცი

ბელგია

თასის 1/16 ფინალი
მეხელენი 1:0დ.დ. (0:0) ბეერსხოტი

ესპანეთი

თასის 1/16 ფინალი
პორტუენსე 1:2 ვალენსია
ესნიგა 1:1 რეალი
სეგოვიანა 0:1 სევილია
დეპორტივო 1:0 რასინგი
პენა სპორტი 0:0 ოსასუნა
რაიო ვალეკანო 1:1 ესპანიოლი
ვალიადოლიდი 1:0 ხიმნასტიკი
ერკულესი 1:1 სარაგოსა
მალაგა 4:1 სოსიედადი
ხერესი 0:2 ხეტაფე
კასტელიონი 0:2 ვილიარეალი
უელვა 0:0 ბეტისი
ბილბაო 1:1 მალიორკა
ბადალონა 1:2 ბარსელონა

ინგლისი

ლიგის თასის
1/16 ფინალი
ძრიუ 1:2დ.დ. (1:1) მანჩესტერი
დონსი 0:5 ტოტენჰემი
ნიუკასლი 3:0 პორტსმუთი
ბლეკბერნი 0:2 ჩელსი
ჩარლტონი 1:0 ბოლტონი
ლივერპული 4:3 რედინგი

საფრანგეთი

ლიგის თასის 1/8 ფინალი
სენტ ეტიენი 4:1 მარსელი
ოსერი 0:1 ბორდო
ლიონი 2:1 პსჟ

თურქეთი

თასის
ჯგუფური ეტაპი
A ჯგუფი. I ტური
გალათასარაი 2:1 ბურსა
ერჟიესი 1:1 ძარშიაძა
B ჯგუფი. I ტური
ესკიშეჰირი 0:0 ანკარა
D ჯგუფი. I ტური
ანკარაგიუჯიუ 2:1 რიზე
ბუძასფორი 1:5 ბეშიქთაში

ჩეხეთი

თასის 1/8 ფინალი
ზლინი 1:0 ბანიკი
მოსტი 0:2 იაბლონეცი
პლზენი 4:3პენ. (0:0) ტეპლიცე
ჟიჟკოვი 2:4პენ. (1:1) პრეშიბრამი
ლიბერეცი 1:2 ბუდეიოვიცე

სლოვაკეთი

თასის 1/8 ფინალი
მოცენოკი 2:1 ნემშოვა
რუჟომბეროკი (მ) 1:1 ტრნავა
მორავცე 4:1 სლოვანი (მ)

ხორვატია

თასის 1/8 ფინალი
დრაგოვოლიაცი 3:5პენ.(0:0) რიეკა
კონავლჯანინი 2:0 სეგესტა
დინამო 3:0 შიბენიკი

სლოვენია

თასის 1/4 ფინალი
მურა 0:2 ნოვა გორიცა
მარიბორი 4:0 პრიმორიე
პუგლიკუმი 3:1 ნაფტა
რუდარი 4:5პენ.(1:1) კოპერი

ევროლიგა

Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. 25 ოქტომბერი

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 97:78 **ტაუ** (ესპანეთი)
რომა (იტალია) 65:60 **პარტიზანი** (სერბეთი)
არისი (საბერძნეთი) 66:58 **ფენერბაჰჩე** (თურქეთი)
პო ორტეზი (საფრანგეთი) 66:72 **ბარსელონა** (ესპანეთი)
ნაპოლი (იტალია) 64:74 **ცსკა** (რუსეთი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოზლიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 72, საფოსტო ყუთი 208
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული გვერდი http://www.sarbieli.com.ge